ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 156 (12070)
ოთხშაბათი, 12 ივლისი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

ვამდიდროთ სამამულო მეცნიერება და ტექნიკა

განსაცვიფრებელი, ისტორიაში არნახული, გაუგონარი მეცნიერული აღმოჩენებისა და მიღწევების მოწმეა XX საუკუნის მეორე ნახევრის კაცობრიობა.

სიამაყეს გრძნობ საბჭოთა ადამიანი სოციალისტური სამშობლოსათვის, სამამულო მეცნიერებისათვის, რადგან სწორედ აქ არის ის ნიადაგი, რომელშიც ღრმად ფესვებგადგმულია ამ დიდი მეცნიერების ზღაპრული ხე. შორს განვრცობილი ტოტები ამ ნაყოფიანი ხისა ფლობს მთელ მეცნიერულ სამყაროს. ჩვენი საბჭოთა, სამამულო მეცნიერება და ტექნიკა ადამიანის გონების ძალის დაფნის გვირგვინია. მათ ხვდათ წილად მსოფლიოში პირველი გმირობა კოსმოსის დაპყრობის გზაზე. საბჭოთა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით" პირველი ისტორიაში გაფრინდა კოსმოსში და უკან, საბჭოთა მიწაზე მშვიდობით დაბრუნდა საბჭოთა გმირი ადამიანი იური გაგარინი. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საბჭოთა ადამიანის გონების ძალის ეს გამარჯვება და გმირობა ზღაპრად მიუვათ ჩვენს შვილიშვილებს.

მაძიებელი, აღმომჩენი, წინმსწრაფი, გამარჯვებული საბჭოთა მეცნიერების დიდ ანსამბლში ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილია ქართული საბჭოთა სოციალისტური მეცნიერება, მისი დღევანდელი ნიჭიერი თაობა.

ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, ცხოვრებისათვის, ხალხისათვის! — აი ქართული მეცნიერების დევიზი თავის მოღვაწეობაში.

სწორედ ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენდა ამას წინათ თბილისში გამართული მეცნიერთა რესპუბლიკური თათბირი.

და მართლაც, არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ გეუფლებოდეს კაცს შენ თანამედროვეთა, შენ თანამემამულე მეცნიერთა მიღწევებისათვის. ისინი დადიან, შრომობენ, ეძიებენ, ქმნიან ჩვენს შორის, ჩვენს გვერდით. ჩვენ მათ პირადადაც კი ვიცნობთ, მივესალმებით, გამოვესაუბრებით ხოლმე; და მეგობრული სიახლოვის ამ წუთებში ჩვენი დიდი თანამოსაუბრის სახელს შესაძლოა მოწიწებით წარმოთქვამდნენ ნიუ-იორკის აკადემიაში, ბერლინის უნივერსიტეტში, მის წიგნს მოკრძალებით იღებდნენ ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემიის წიგნთსაცავის თაროდან, დისერტანტი ჩინეთის სამეცნიერო საზოგადოებაში წყაროდ ასახელებდეს მის შრომას...

ქართული მათემატიკური სკოლა სახელგანთქმულია მთელ მსოფლიოში, მის შრომებს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და გამოყენებულია თანამედროვე ტექნიკის უაღრესად აქტუალური პრობლემების გადაჭრისას.

ქართველ ფიზიკოსთა დიდი გამარჯვებაა თბილისის ახლოს მომუშავე საკვლევი ატომური რეაქტორი, ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკის, ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ საკითხებს რომ წყვეტს.

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა ამას წინათ ცხრაწყაროზე შექმნილი, უნიკალური თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კოსმოსური სხივების ლაბორატორია.

ქართველმა ქიმიკოსებმა დაადგინეს ნავთობის ქიმიური ბუნება, მიიღეს ახალი ეფექტიანი პრეპარატები ვაზისა და სხვა მცენარეთა ქლოროზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს სამთამადნო მრეწველობის განვითარებაში, შეიმუშავეს საბადოთა ექსპლოატაციის პროგრესული მეთოდები და მადნეულის გამდიდრების ახალი ტექნოლოგია.

ქართველმა მეცნიერებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისათვის აუცილებლად საჭირო მეცნიერული დარგების განვითარებაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების საქმეში. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს შორს გასცდა ქართული ფიზიოლოგიური, ისტორიული, ენათმეცნიერული სკოლების სახელი და დიდება.

პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ ხანებში პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ინიციატივით არაერთი შესანიშნავი ღონისძიება მიიღეს მეცნიერების საკითხებზე. ასეთია, მაგალითად, დადგენილებები „ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", „მეცნიერ-პედაგოგთა კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" და ბევრი სხვ. ეს ღონისძიებანი ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებენ პარტიისა და მთავრობის მშობლიურ ზრუნვას სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის ხალხის საკეთილდღეოდ. საბჭოთა სახელმწიფო უხვად აფინანსებს მეცნიერების განვითარებას, ყოველნაირად ხელს უწყობს მას.

მაგრამ ჩვენმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, მეცნიერებმა კარგად უნდა დაიმახსოვრონ, რომ იმათგან უფრო მეტს მოითხოვს ხალხი, რომლებსაც უფრო მეტს აძლევს. ხალხი ამიტომაც მეტს მოელის ჩვენი მეცნიერებისაგან.

საერთო, და როგორც ზემოთ ითქვა, უაღრესად დიდი წარმატებანი ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევითს დაწესებულებებს, მეცნიერებს არ აძლევს თვითდამშვიდების საბაბს. მით უფრო, რომ ამ წარმატებებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახლავს სერიოზული ნაკლოვანებანი. ცოტა როდია იმის მაგალითი, რომ სამეცნიერო დაწესებულებები გაუმართლებლად დიდხანს მუშაობენ და ისიც სახალხო მეურნეობისათვის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულ თემებზე, გათვალისწინებული არ არის პრობლემებზე მუშაობისას წარმოების ამა თუ იმ დარგის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა, ზოგჯერ მეცნიერები ბოლომდე არ მისდევენ მათ მიერ დამუშავებული პრობლემების წარმოებაში დანერგვას, უგულებელყოფენ იმ პრინციპს, რომ მეცნიერული მუშაობის საბოლოო ეტაპია კვლევის დანერგვა წარმოებაში. შარშან, მაგალითად, ახალი ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო გეგმაში გათვალისწინებული 174 უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ნაშრომიდან სრული მოცულობით შესრულდა მხოლოდ 114 ნაშრომი. 35 ნაშრომის რეალიზაცია კი არც დაწყებულა.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უახლოესი დროისათვის დასახული ამოცანის — 6 საათის, ხოლო შემდეგ 5 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული მეცნიერებისა და ტექნიკის განუწყვეტელ ზრდა-განვითარებაზე, შრომის ნაყოფიერების თანმიმდევრულ ზრდაზე ტექნიკური პროგრესის მეშვეობით.

მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების მიზნით არის მიღებული პარტიისა და მთავრობის დადგენილება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციისა და მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. ეს დადგენილება ნაკარნახევია ცხოვრების, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკის, კომუნისტური საზოგადოების მატერიალური ბაზის შექმნის საჭიროებებით. ამ დადგენილების საფუძველზე გარდაიქმნება მეცნიერული საქმიანობა ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამ მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის გადაკეთება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტად. ახალი ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ მეცნიერთა კადრების მომზადებას, საკვლევი საქმიანობის კოორდინაციას, დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვასა და გამოყენებას, მეცნიერული სამუშაოების შესრულებაში ზედმეტი პარალელიზმის ლიკვიდაციას.

მეცნიერება მოვალეა წინ უსწრებდეს ცხოვრებას, ხედავდეს ხვალინდელ და ზეგინდელ დღეებს, პრაქტიკაში ნერგავდეს და ახორციელებდეს თავის გამოკვლევებსა და აღმოჩენებს, სარგებლობა მოჰქონდეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის, ემსახურებოდეს ხალხს. დიდია იმ დარგის მეცნიერების როლი მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების საქმეში, რომლის მუშაობის პროფილს შეადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. საზოგადოებრივი მეცნიერებათა სპეციალისტებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ რესპუბლიკის მშრომელთა იდეური შეიარაღების, მომავალი კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც თავისი არსებობის სახელოვან ოც წელზე მეტი გზა განვლო, მისი მრავალრიცხოვანი ინსტიტუტები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, სახელმოხვეჭილი ქართველი მეცნიერები უთუოდ პირნათლად შეასრულებენ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში მათ წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, ახალი შემოქმედებითი წარმატებებით შეხვდებიან პარტიის XXII ყრილობას.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

თ. ვაშაძის ბრიგადის მაგალითით

იური გაგარინი მაღაროელებმა იძმეს

ჭიათურა. (საქ. კორ.). ეს თაოსნობა მარგანეცის ქალაქში ჩაისახა. იგი მშენებლებმა წამოიწყეს. მშენებელთა კომპლექსურ ბრიგადაში საპატიო წევრად ჩარიცხულია საქვეყნოდ ცნობილი გმირი იური გაგარინი, შვიდწლედის ფონდში უკვე შევიდა პირველი ასეული მანეთი...

თ. ვაშაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის კეთილშობილური თაოსნობა სწრაფად გავრცელდა. პირველი კოსმონავტი მაღაროელებმაც იძმეს. ამ პატრიოტულ თაოსნობას პირველი გამოეხმაურა მაღარო „ახალი ითხვისის" კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ღრმა ბურღვის ნოვატორი, ლენინის ორდენოსანი კ. ნადირაძე უძღვება.

კომპლექსურ ბრიგადაში შვიდი წევრია. თვითეულმა მათგანმა მაღაროელის ორი-სამი პროფესია იცის. ბრიგადა სანგრევს კიდეც ბურღავს, კიდეც აფეთქებს, კიდეც ამაგრებს, რკინიგზაც გაჰყავს, მონგრეულ მადანს მანქანით ტვირთავს... აქ მთელ ციკლს ბრიგადა ასრულებს.

ბრიგადის წევრები ერთ დღეს სახელდახელოდ შეიკრიბნენ. სიტყვა წარჩინებულმა მებიგემ გ. ჩხიტუნიძემ აიღო.

— მშენებლებმა დაგვასწრეს, მაგრამ ჩვენც ნუ დავაყოვნებთ, ვიძმოთ იური გაგარინი, ამიერიდან ჩვენი ბრიგადის საპატიო წევრი იყოს. შვიდი კაცი ვართ. თვითეულმა ცვლაში გეგმის ზევით ერთნახევარი-ორი ტონა მარგანეცი რომ გამოვიღოთ, ამით იურის გეგმაც შესრულდება. დაე მისი გამომუშავება შვიდწლედის ფონდში წავიდეს...

გ. ჩხიტუნიძეს აზრი მოუწონეს ბრიგადირმა, ამხანაგებმა. მის შემდეგ ბრიგადამ უფრო უმატა შრომას. ივნისის დავალება 120 პროცენტით შესრულდა. ბრიგადა ცვლაში 80 ტონის ნაცვლად 90-95 ტონა მარგანეცს იძლევა, ხოლო უკანასკნელ დღეებში 100 ტონას აჭარბებს. ი. გაგარინის ანგარიშზე უკვე ათეულ ტონობით მარგანეცია გამოღებული.

წყალტუბო. (საქ. კორ.). ანზორ ფანჩულიძის კომუნისტური შრომის ბრიგადა ყველაზე მოწინავეა „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოში. ბრიგადაში თორმეტი მნგრეველი და ორი გამმაგრებელი მუშაობს, ყოველი მაღაროელი დღიურად სულ მცირე ნახევარ ტონა გუმბრინს იღებს გეგმის გადამეტებით. ხუთ თვეში ბრიგადის წევრთა შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით გადიდდა, მადნის თვითღირებულების შემცირების გზით ბრიგადის კოლექტივმა 1.500 მანეთი დაზოგა და შვიდწლედის ეკონომიურ ფონდში შეიტანა.

ბრიგადამ 24 ივნისს სამშობლოს ნახევარი წლის დავალების შესრულება უპატაკა. სწორედ ამ დღეს მაღაროელებმა ჭიათურელი მშენებლის თ. ვაშაძის მაგალითისამებრ ბრიგადის საპატიო წევრად ჩარიცხეს და თავიანთ კოლექტივში მეხუთე თანრიგის მნგრეველად შეიყვანეს პირველი საბჭოთა კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. გაგარინი.

ი. გაგარინის საშუალო თვიურ გამომუშავებას, რაც სულ მცირე 105-110 მანეთს მიაღწევს, ამიერიდან ყოველთვიურად რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შევიტანთ.

ემზადება რა ღირსეულად შეხვდეს პარტიის XXII ყრილობას, ანზორ ფანჩულიძის კომუნისტური შრომის ბრიგადამ გადაწყვიტა ათი თვის დავალება ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 488.

უპატაკებენ სამშობლოს

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 105,8 პროცენტით, რძისა — 100,8, პროცენტით, კვერცხისა — 101,2 პროცენტით, მატყლისა — 112,6 პროცენტით. (საქდესი).

ახალი მარკის ავტომანქანები

თბილისის ქუჩებში ნახავდით პატარა საბარგო ავტომანქანებს ბორტის ძარებით, ძარა-ფურგონებით და პატარა ავტობუსებს. ეს უაზ-451 მარკის ახალი ავტომანქანებია, რომლებიც შექმნა ულიანოვსკის საავტომობილო ქარხანამ. ისინი სახელმწიფო გამოცდას გადიან ჩვენი ქვეყნის გზებზე.

გადარბენის მარშრუტის სიგრძე 25 ათასი კილომეტრია. კოლონა იყო სტალინგრადში, ასტრახანში, ორჯონიკიძეში, უკვე გავლილია 17.000 კილომეტრი. მანქანებმა კარგი საექსპლოატაციო თვისებები ცხადყვეს.

ავტომანქანების კოლონა ბაქოში წავიდა, ხოლო იქიდან წავა ერევანში, სიმფეროპოლში, ოდესაში, ლვოვში, კიევში, მოსკოვში. (საქდესი).

ამბები, ფაქტები, ცნობები

გუშინ ჩაის პლანტაციებში

1961
11
ივლისი

წულუკიძე წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მეჩაიემ **იზოლდა წოწონავამ** მოკრიფა 230 კილოგრამი ჩაის ნედლეული. სულ მოკრეფილი აქვს 10 ტონაზე მეტი. ქალაქის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში **ლამარა ბახტაძემ** მოკრიფა 50 კილოგრამი ჩაი, **ლილი ბახტაძემ** — 38 კილოგრამი.

ზუგდიდი სოფელ რიყის კოლმეურნეობის მეჩაიემ **თინა გოგიამ** მოკრიფა 75 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სოფელ რუხის კოლმეურნეობაში **მერი ქარდავამ** — 65 კილოგრამი, ხოლო ეწერის საბჭოთა მეურნეობის მუშამ **ნორა პაკელიანმა** — 80 კილოგრამი.

ლეილა მაღულარიას რგოლმა წლიური გეგმა შეასრულა

მახარაძე. (საქ. კორ.). სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" იმ რგოლმა, რომელსაც სახელგანთქმული მეჩაიე ლეილა მაღულარია ხელმძღვანელობს, 6 ივლისისათვის შეასრულა ჩაის დამზადების წლიური გეგმა. მოკრიფა და წარმოებას ჩააბარა 22.900 კილოგრამი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22.600 კილოგრამისა. პირადად ლ. მაღულარიას დღემდე მოკრეფილი აქვს 8.300 კილოგრამი. რგოლის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ სეზონში მოკრიფონ 40 ტონა „მწვანე ოქრო".

ამ წარმატებებში ლ. მაღულარიასთან ერთად თავი ისახელეს ხ. მელუამ, მ. დოლიძემ, თ. მელუამ, ლ. სიხარულიძემ და სხვებმა. თვითეულ მათგანს შესრულებული აქვს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

165.000 ტონა ჩაისათვის!

შრომით ვახტზე

პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატებები მოიპოვეს გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა. ისინი დაუღალავად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგანან მეშვიდე და მერვე აგროგანყოფილებები. ამ განყოფილებათა მეჩაიეებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს. მაის-ივნისში მოკრიფეს 32.350 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 29.250 კილოგრამისა. კრეფაში თავი ისახელეს ტატიანა როდონაიამ, ნათელა გამსახურდიამ, ვენერა ზაქარაიამ, ნუცა აკობიამ, თალიკო უბილავამ და სხვებმა. თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

ა. აქირთავა.

წარმატებით შრომობს ჩაის პლანტაციებში ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის რგოლის წევრი შუშანა მგალობლიშვილი. წლიური დავალებით გათვალისწინებული 2000 კილოგრამის ნაცვლად შუშანამ უკვე ჩააბარა სახელმწიფოს 3600 კილოგრამი ჩაის ნედლეული და იკისრა სეზონის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 1900 კილოგრამი ფოთოლი. **სურათზე:** შ. მგალობლიშვილი.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ტაშს უკრავდნენ საქართველოს მსახიობთა სპექტაკლებს

დნეპროპეტროვსკი, 10 ივლისი (საქდესი). გუშინ ა. კასონას კომედიით „მესამე სიტყვით" დაამთავრა აქ გასტროლები გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამის თეატრმა. მოძმე საქართველოს სცენის ოსტატებმა ერთი თვის მანძილზე აჩვენეს საოლქო ცენტრსა და ქალაქებში დნეპროძერჟინსკში, ნოვომოსკოვსკში, ნიკოპოლში, პავლოგრადსა და პრიდნეპროვსკში 50 სპექტაკლი, მათ გააცნეს უკრაინელ მაყურებლებს თავიანთი საუკეთესო დადგმები, ქართველ დრამატურგთა პიესები.

ყველა სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. სპექტაკლებს დაესწრო 45 ათასზე მეტი მშრომელი.

დავით სეფიაშვილის მიმდევარი

წითელწყარო. (საქ. კორ.). ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულ მეღორეს დავით სეფიაშვილს რაიონში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორემ მიხეილ კარჟანოვმა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე განაცხადა:

— დავით სეფიაშვილს ნუ ეწყინება, თუ ღორის ხორცის წარმოების საქმეში არა თუ დავეწევით, არამედ გავუსწრებთ კიდეც. შვიდწლედის მესამე წელს 3.100 სულ ღორს გავასუქებ.

მიხეილ კარჟანოვმა სასუქი პუნქტი მოაწყო. წყალი მიიყვანა, საკვებურები დადგა. ღორები ასაკის მიხედვით დააჯგუფა და სუქებას შეუდგა.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი

ზესტაფონი. (საქ. კორ.). სოფელ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ც. გეწაძემ 10 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 22,6 კილოგრამი პარკი, ალავერდელმა მეაბრეშუმემ ნ. მშვილდაძემ 15 კილოგრამის ნაცვლად — 31 კილოგრამი.

რუმინეთის დელეგაცია თბილისში

თბილისში მყოფი რუმინეთის პროფკავშირული დელეგაცია, რომელსაც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე მარტინ ისაკი მეთაურობს, კვლავ ეცნობა რესპუბლიკის ცხოვრებას.

11 ივლისს საქართველოს პროფსაბჭოში გაიმართა პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მდივნების, პროფსაბჭოს განყოფილებათა გამგეების შეხვედრა დელეგაციის წევრებთან. რუმინეთის პროფკავშირთა ხელმძღვანელ მუშაკებს გულითადად მიესალმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი. მან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებს უამბო ქართველი ხალხის ისტორიულ წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაზე, მათს მეთაურობაზე წარმოების მუშაკთა ბრძოლისადმი შვიდწლიანი გეგმის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის.

დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებით, პროფკავშირთა მონაწილეობით სახელმწიფო გეგმების შედგენაში, პროფკავშირული კადრების მომზადებით.

რუმინეთის პროფკავშირთა გამოცდილებაზე ილაპარაკა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ მარტინ ისაკმა. მან მადლობა გადაიხადა გულთბილი მეგობრული მიღებისათვის, რომელსაც ყველგან უწევენ დელეგაციას, ქართველ ხალხს გადასცა რუმინეთის მშრომელთა სალამი.

საუბარს დაესწრო საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შევჩენკო.

დელეგაციამ დაათვალიერა ჩაის საწონი ფაბრიკა და შამპანური ღვინოების ქარხანა. რუმინეთის პროფკავშირული მოღვაწეები გაეცნენ ამ საწარმოთა კოლექტივების მუშაობას, ესაუბრნენ მუშებს, პროფკავშირულ მუშაკებს. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები რუმინელ ამხანაგებს შეხვდნენ როგორც უაღრესად ძვირფას სტუმრებს, სთხოვეს გადასცენ რუმინელ ხალხს, რომ უსურვებენ მიაღწიოს ახალ თვალსაჩინო წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში.

დღის მეორე ნახევარში სტუმრები „ქართმხალას" სტადიონზე დაესწრნენ საერთაშორისო შეხვედრას ფეხბურთში თბილისის „დინამოს" და „ვინერ ნოიშტადტის" (ავსტრია) გუნდებს შორის. საღამოს დელეგაციის წევრებმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ნახეს დოკუმენტური ფილმები „საბჭოთა საქართველო" და „ქართული ხელოვნების ოსტატები". (საქდესი).

დოქტორ კვამე ნკრუმას საუბარი ნ. ს. ხრუშჩოვთან

განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა 11 ივლისს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

დოქტორ კვამე ნკრუმასა და ნ. ს. ხრუშჩოვს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე პრობლემებზე, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს.

განის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის მეთაურთან ერთად საუბარს დაესწრნენ მინისტრები, უმაღლესი პარტიული მუშაკები, პარლამენტის წევრები და სხვა პირები, რომლებიც დოქტორ კვამე ნკრუმასთან ერთად ჩამოვიდნენ, აგრეთვე განის ელჩი სსრ კავშირში ჯონ ბ. ელიოტი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი განის რესპუბლიკაში მ. დ. სიტენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის მეორე განყოფილების გამგე ვ. ა. ბრიკინი. (საქდესი).

საუზმე დოქტორ კვამე ნკრუმას პატივსაცემად

მოსკოვი, 11 ივლისი. (საქდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ დღეს კრემლის დიდ სასახლეში გამართეს საუზმე განის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მეთაურის დოქტორ კვამე ნკრუმას პატივსაცემად.

დოქტორ კვამე ნკრუმასთან ერთად საუზმეზე იყვნენ მინისტრები, უმაღლესი პარტიული მუშაკები, პარლამენტის წევრები, რომლებიც განის პრეზიდენტსა და მთავრობის მეთაურთან ერთად ჩამოვიდნენ, აგრეთვე განის ელჩი სსრ კავშირში ჯონ ბ. ელიოტი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, ე. ა. ფურცევა, ვ. ვ. გრიშინი, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები და სხვები.

დოქტორი კვამე ნკრუმა ეწვია ლ. ი. ბრეჟნევს

განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა 11 ივლისს კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და დოქტორ კვამე ნკრუმას შორის გაიმართა მეგობრული, გულითადი საუბარი.

პრეზიდენტთან და მთავრობის მეთაურთან დოქტორ კვამე ნკრუმასთან ერთად საუბარს დაესწრნენ მისი თანმხლები პირები, აგრეთვე განის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჯონ ბ. ელიოტი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. არუშანიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გეორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი განის რესპუბლიკაში მ. დ. სიტენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის მეორე განყოფილების გამგე ვ. ა. ბრიკინი, (საქდესი).

მოსკოვის კინოფესტივალზე

ВТОРОЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ
КИНОФЕСТИВАЛЬ
1961
МОСКВА

მოსკოვი, 10 ივლისი. (საქდესი). დაიწყო მოსკოვის მეორე საერთაშორისო ფესტივალი... უკან დარჩა პირველი შეხვედრების, პირველი გაცნობის სიხარული, გახსნის ზეიმი. დღეს დაიწყო ფესტივალის ჩვეულებრივი დღე — პირველი სამუშაო დღე. ორი ჟიური — მხატვრული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა შეუდგა თავის ძნელ, დიდ შრომას — მსოფლიოს 51 ქვეყნის მიერ წარმოდგენილი კინოსურათების გასინჯვასა და შეფასებას.

პირველ დღეს ჟიურის წევრებმა, სტუმრებმა, მოსკოველებმა ნახეს ორი ფილმი, რომლებიც წარმოდგენილია კონკურსზე — კანადის აბორიგენებისადმი მიძღვნილი „მზის წრე" და კინოსურათი, რომელიც ასახავს ცეილონის სოფლის კურულუბედას ცხოვრებას.

„მზის წრის" შემქმნელებმა კეთილშობილი ამოცანა დაისახეს — მომავალი თაობებისათვის აღბეჭდონ ინდიელი ხალხის ტრადიციები, ჩვეულებანი, თავისებური ყოფაცხოვრება, მისი განუმეორებელი ხელოვნება, რაც შორეულ საუკუნეებს განეკუთვნება. მაყურებლის წინაშე ჩნდება კადრები, რომელშიც ხედავ ადამიანებს, მათ ცხოვრებას, თავისებურს, ჩვენთვის უჩვეულოს. ისინი დღესასწაულობენ „მზის დღეს", ახდენენ საოცარი თქმულებების იმპროვიზაციას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაყურებლებს არ ტოვებს უკმაყოფილობის გრძნობა: ყველაფერი, რაც ასახულია ფილმში, სამუდამოდ ქრება. რა კეთდება იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ხალხის თავისებურად შესანიშნავი ჩვეულებანი, მისი ფოლკლორი, მისი ხელოვნება? პასუხს ამ კითხვაზე სურათი არ იძლევა.

შემდეგ ეკრანზე ნაჩვენებია ცეილონის პატარა სოფლის ცხოვრება, მისი დინება სადა, აუჩქარებელია. ერთი შეხედვით ღარიბია მოვლენებით, მაგრამ ღრმა გრძნობა აღელვებს კურულუბედის მცხოვრებთ. წოდებრივი ცრურწმენა ხელს უშლის გმირების სიყვარულს. ბედი აშორებს მათ, მაგრამ იმარჯვებს ადამიანობა და სიკეთე.

რას იტყვით თქვენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია ჩვენი გაზეთის აქტივის, მკითხველების აზრი, შენიშვნები, წინადადებანი

აგროქიმია მოსავლიანობის ზრდის წყაროა

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანები გვავალებს ახლებურად მოვაწყოთ მუშაობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სოფლის მეურნეობის წარმოების ყველა უბანსა და რგოლში.

ახლა მთავარია ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში ტექნიკური პროგრესი, მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, რათა მაქსიმალურად გავადიდოთ მოსავლიანობა.

ამ ამოცანის განხორციელება, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, უშუალოდ არის დამოკიდებული სასუქების წესიერად გამოყენებაზე. დამტკიცებულია, რომ თუ უსასუქოდ ჰექტარზე ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი 500-600 კილოგრამს არ აღემატება, ნიადაგის განოყიერების გზით მოსავლიანობა იზრდება 5.000-6.000 კილოგრამამდე და მეტადაც.

სასუქების წესიერად გამოყენება იმას გულისხმობს, რომ ისინი ნიადაგში შევიტანოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მცენარეს ესაჭიროება ესა თუ ის ნივთიერება.

სასუქების გონივრულად შეტანის შედეგად საგრძნობლად იცვლება ნიადაგის თვისებები და მცენარისათვის საჭირო საკვებ ნივთიერებათა შეფარდება. მაგალითად, თუ განოყიერებამდე წითელმიწა და ეწერნიადაგებში ფოსფორის რაოდენობა 100 გრამ ნიადაგში 1-2 მილიგრამს არ აღემატებოდა, სასუქების გამოყენების შემდეგ მისი რაოდენობა ზოგიერთ ნაკვეთზე 100 გრამ ნიადაგში 80-100 და 120 მილიგრამამდეა გაზრდილი. ასევე მატულობს ნიადაგში კალიუმი და მცენარისათვის საჭირო სხვა ნივთიერებათა რაოდენობა.

ისეთ ნიადაგებში კი, რომლებშიც საკმარისად არის მცენარისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები, სასუქი არ უნდა შევიტანოთ. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ საჭირო არ არის სასუქის შეტანა, მაინც განაგრძობენ უმიზნოდ მის შეტანას. ეს მოსავლიანობის გადიდების ნაცვლად იწვევს მის მკვეთრ შემცირებას, ამასთან უსარგებლოდ იხარჯება სასუქები და იზრდება პროდუქციის თვითღირებულება.

საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ ნიადაგი, განვსაზღვროთ მასში მცენარისათვის შესათვისებელ საკვებ ნივთიერებათა რაოდენობა და სასუქები შევიტანოთ არა ნიადაგის ტიპების მიხედვით, როგორც ამას ითვალისწინებს აქამდე მოქმედი აგროწესები, არამედ დიფერენცირებულად, მცენარისათვის შესათვისებელ საკვებ ნივთიერებათა რაოდენობის გათვალისწინებით.

სასუქების დიფერენცირებულად გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, რადგან ჩაის პლანტაციებში წლების მანძილზე სისტემატურად დიდი რაოდენობით შეგვაქვს მინერალური სასუქები, რაც იწვევს ნიადაგის თვისებების საგრძნობლად შეცვლას.

სასუქების ბრმად გამოყენება ერთხელ დადგენილი აგროწესების მიხედვით დაუშვებელია. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ კულტურების მიმართ, რომელთა ქიმიზაცია ინტენსიურად წარმოებს დიდი ხნის მანძილზე. ნიადაგის განოყიერება უნდა ვაწარმოოთ წინასწარ შედგენილი აგროქიმიური კარტოგრამების მიხედვით.

ეს საკითხი მეცნიერულად დაასაბუთეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრების თანამშრომლებმა და ნიადაგის თვისებების ღრმად შესწავლის საფუძველზე რესპუბლიკის რამდენიმე მეურნეობაში შეადგინეს მიკრორაიონული ნიადაგის აგროქიმიური კარტოგრამები. ლაბორატორიული მუშაობის შედეგად გამოირკვა, რომ ერთ მიკრორაიონში სხვადასხვა ნაკვეთები ქიმიური შედგენილობით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციების აგროქიმიური კარტოგრამის შედგენამ ნათელი გახადა, რომ იქაური ნიადაგები ადვილად ხსნადი ფოსფორისა და შთანთქმული კალიუმის შემცველობის მიხედვით ურთიერთ მკვეთრად განსხვავებული სხვადასხვა შედგენილობით ხასიათდებიან.

აგროქიმიური კარტოგრამის მიხედვით მეურნეობის ნაკვეთები შეიძლება დაყოფილ იქნას სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ნაკვეთები, რომლებიც მოითხოვენ სასუქების გამოყენებას აგროწესებით გათვალისწინებული სრული დოზით, მეორე ჯგუფს — ნახევარი დოზით, მესამე ჯგუფი სრულიად არ საჭიროებს სასუქებს.

ამ ღონისძიების გატარება უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს და თავიდან აგვაშორებს უსარგებლო შრომას.

ცხადია, მარტო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს არ შეუძლია ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მთლიანად გადაჭრა, აუცილებელია ამ საქმეში ფართოდ ჩავაბათ სათანადო სამეცნიერო-საკვლევი და საცდელი დაწესებულებები, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერები. მათი ენერგია უნდა მივმართოთ იქეთკენ, რომ დროის მცირე მონაკვეთში შევისწავლოთ და დავაზუსტოთ სასუქების გამოყენების ინდექსები სხვადასხვა მცენარის მიმართ განსხვავებულ ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას უახლოეს მომავალში შედგენილი ჰქონდეს აგროქიმიური კარტოგრამა.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება შეუძლებელია, თუ არ გავაფართოეთ აგროქიმიური მომსახურება და არ შევქმენით აგროქიმიური ლაბორატორიები. აგროქიმიური ლაბორატორიების როლი ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების, სასუქების დიფერენცირებულად გამოყენებისა და უხვი, მყარი მოსავლის მიღების საქმეში უაღრესად დიდია. ამიტომ საჭიროა ყველა რაიონში, მსხვილ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩამოყალიბდეს აგროქიმიური ლაბორატორიები.

პირველ რიგში აგროქიმიური საწარმოო ლაბორატორიები უნდა მოვაწყოთ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებში, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ისინი უნდა მივამაგროთ გარკვეულ რაიონსა და მეურნეობას.

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების ნიადაგების განაყოფიერების სისტემის მეცნიერული დამუშავებისათვის ჩვენმა სწავლულებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს, მაგრამ სამწუხაროდ, მეცნიერების მიღწევებიდან ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის დანერგილი წარმოებაში. საჭიროა აგროქიმიურმა ლაბორატორიებმა თავიანთ მეურნეობებში განახორციელონ ყოველი ახალი მიღწევა, რომელიც ნიადაგის განოყიერებას და მცენარის კვებას შეეხება.

მაგრამ სასუქების გამოყენების მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა. ამიტომ საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აგროქიმიურ მომსახურებას — მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას ქმედითი ხელმძღვანელობა გაუწიოს, რათა წარმატებით განხორციელდეს პარტიის დირექტივები უხვი პროდუქციის მიღების საქმეში.

ი. სარიშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გუდაუთა. ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. გოგობერიშვილი და მემინდვრე ბ. კიღილაძე სიმინდის ყანაში, აქ ჰექტარზე 70 ცენტნერ სიმინდს მოელიან.
ფოტო ი. ჭოხონელიძისა.

სტრიქონები წერილებიდან

მალე ვერხვის ტყე აშრიალდება...

თვალივისა და გუდრუხის ნოყიერი ველები თითქმის შიშველი იყო. აქაურმა მეტყევეებმა კეთილშობილური საქმე გააკეთეს: ამას წინათ აღნიშნულ ველზე 200.000 ძირი ვერხვის ნერგი დარგეს. მალე ვერხვის ტყე აშრიალდება...

ვ. ხუცურაული.

ხეები ზეზეულად კვდებიან!

გულსა და სულს ატკბობდა ხაშურ-ქარელ-გორის მიმართულებით გზატკეცილის ორივე მხარეს დარგული მცენარეები, ნაძვები. მაგრამ მოუვლელობის გამო ნარგავები ზოგან ქარს წაუქცევია, მოურწყველობისაგან ხმებიან...

ი. ნავროზაშვილი.

ღია ცისქვეშ

ძევრის ხიდთან მრავალი თერჯოლელი და ტყიბულელი მგზავრი იყრის თავს. უცდიან ავტომანქანებს. მაგრამ როცა ცუდი ამინდია, მგზავრებს თავშესაფარი არა აქვთ. ნუთუ ძნელია აქ პატარა ბაქნის აგება?

დ. ცირეკიძე.

გვახსოვდეს ისინი

სამოცდაათი წლის კაცი ვარ. მაინც მხნედ დავდივარ ამ მადლიან მიწაზე, შევხარი მშრომელთა ხელით აგებულ ყოველ ახალ სახლს, ქარხნის კორპუსს, ასე აყვავებულ, დამშვენებულ მინდვრებსა და პლანტაციებს.

ვუყურებ ყოველივე ამას და ფიქრით უნებურად წარსულს ვუბრუნდები. მინდა გულით ვუთხრა ჩვენს ახალგაზრდობას: შვილებო, იცოდეთ, გახსოვდეთ, რომ ეს ბედნიერება იოლად არ მოსულა. იგი სისხლით მოიპოვეს თქვენმა მამებმა, ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც შესწირა, რომ თქვენ თავისუფალი ყოფილიყავით.

ბევრი დაეცა გმირული სიკვდილით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. თვალწინ მიდგას მათი ნათელი სახეები. მენშევიკური საქართველოს უდღეური მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა კომუნისტებს.

1918 წლის ივლისის პირველ დღეებში აჯანყდა დუშეთის მშრომელი გლეხკაცობა მენშევიკური მთავრობის დასამხობად. მათ დასახმარებლად მოვიდა სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმის პარტიზანული რაზმი საშა გეგეჭკორის მეთაურობით. ამ რაზმს, რომელშიც მეც ვირიცხებოდი, ცხარე ბრძოლა მოუხდა მენშევიკ გვარდიელებთან ფასანაურ-ანანურში და ყაზბეგში. სამი დღის შეუპოვარი შეტაკების შემდეგ გავარღვიეთ ალყა, მაგრამ ორმოცი კაცი მაინც ჩავარდა ტყვედ. გვარდიელებმა დააპატიმრეს ისინი. აქედან 16 კაცი დახვრიტეს 14 ივლისს. დახვრეტილთა შორის იყვნენ კომუნისტები მიშა გეგეჭკორი, მაკარ ჯალაღონია, მაკარ კვარაცხელია, ვასილ ნაჭყებია, ათანასე ქებურია, ვასილ დოლიძე, მიხა გოგუა, პეტრე ყალიჩავა და სხვები.

ისინი ვერ მოესწრნენ ამ ბედნიერ დღეებს, მაგრამ მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ ის ადამიანები, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს განთავისუფლებას, ჩვენი სანუკვარი ოცნების შესრულებას.

კ. ჩემია.
სკკპ წევრი 1917 წლიდან.

სად დავაყენოთ მანქანები?

დღითიდღე იზრდება, მშვენდება და ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. გაოცებს ახალმშენებლობათა მასშტაბი: სწრაფად დგება მწყობრში ახალი სახლები, კვარტალები, მთელი ქუჩები. ამასთან თვალში გეცემათ ერთი გარემოება: თითქმის არ არის მსუბუქი ავტომანქანების დასაყენებელი სპეციალური მოედნები. ასეთი მოედნები კი საჭიროა.

ამ საკითხით უსათუოდ უნდა დაინტერესდეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

შ. ხუციშვილი.

შევქმნათ მეთევზეობის ბაზა

„შაორის ზღვა“ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის ბრწყინვალე შედეგია. იგი ჩვენს რესპუბლიკაში „თეთრი ნახშირის“ ერთ-ერთ მძლავრ კერად გადაიქცა. შაორი ყურადღებას იპყრობს თევზის სიმრავლით. ცნობილია აქაური კალმახი. ამ ოთხი წლის წინათ შაორში თევზის ახალი ჯიშები გაუშვეს.

ჩვენი აზრით, უკვე მომწიფდა პირობა, რომ შაორზე შეიქმნას თევზის ჭერისა და დამუშავების სამრეწველო საწარმო.

ა. მეტრეველი,
ხარისთვალის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს თავმჯდომარე.

ამის მოგვარება შეიძლება

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მეფრინველეობასაც. მეფრინველეობის საკოლმეურნეო ფერმებს გარდა, მრავალ შინაურ ფრინველს ზრდიან კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები, მაგრამ მათი ფრინველი იშვიათად გადაურჩება ხოლმე სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას, რადგან ვეტერინარული სამკურნალოები ფრინველის ასაცრელ ვაქცინას არ იძლევიან იმ მოტივით, რომ იგი მხოლოდ 500-გრამიანი ბოთლებით აქვთ, რომლებიც განკუთვნილია მრავალი ფრთისათვის.

ნუთუ დიდი შრომა და ხარჯებია საჭირო იმისათვის, რომ აღნიშნული პრეპარატის მწარმოებელმა ორგანიზაციამ ვაქცინა, გარდა 500-გრამიანი ბოთლებისა, გამოუშვას 300, 200 და 100-გრამიანი ბოთლებითაც?

ი. თევდორაშვილი.

„უავადმყოფო ჩიტიც არ არის“

მანდიკორი ერთ-ერთი დიდი სოფელია ტყიბულის რაიონში. მისი რელიეფი მთაგორიანია. ეს მნიშვნელოვნად აძნელებს კავშირურთიერთობას როგორც რაიონულ ცენტრთან, ისე სხვა სოფლებთან. აქედან ცხადია, თუ რაოდენ კარგად უნდა იყოს ადგილზე დაყენებული კოლმეურნეთა საექიმო მომსახურება.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდია — ამჟამად რაიონის ყველა სოფელს აქვს საავადმყოფო, საექიმო ან საფერშლო-საბებიო პუნქტი, მანდიკორში კი რატომღაც არც ერთია, არც მეორე და არც მესამე.

ძველი ანდაზა ამბობს, უავადმყოფო ჩიტიც არ არისო. დღე არ გავა, რომ ამოდენა სოფელში ვინმეს სამედიცინო დახმარება არ დასჭირდეს.

ასეთ საკითხებზე მცხოვრებლებს მეზობელ სოფლებში, რაიონულ ცენტრში ან ქუთაისში უხდებათ გამგზავრება, რაც იწვევს გაცდენას. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ მანდიკორის კოლმეურნეობა განიცდის მუშახელის ნაკლებობას.

ჩვენ არაერთხელ შევჩივლეთ ამ საკითხზე ჯანმრთელობის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მაგრამ ჩვენს ხმას ყური არავინ ათხოვა.

კ. კუზლაშვილი, ი. ჩხიკვაძე,
შ. სამხარაძე,
სოფელ მანდიკორის მცხოვრებლები.

◆

რატომ დავივიწყეთ კირი?

კირი უხსოვარი დროიდან ცნობილი საშენი მასალაა, რომელსაც იყენებდნენ ჩვენი წინაპრები ყველა სახის ნაგებობათა მშენებლობაზე.

კირით ნაშენი ნაგებობების შესახებ არსებობს ხალხური გადმოცემები, რომ ძველი ციხე-კოშკები შენდებოდა კვერცხის ცილით დამზადებული დუღაბით. ცხადია, ეს მხოლოდ ლეგენდაა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ კირის დუღაბი დიდი სიმაგრისა და გამძლეობისაა.

სამწუხაროდ, მშენებლებმა ეს მეტად იაფი და მნიშვნელოვანი მასალა ამ ბოლო დროს სრულებით მიივიწყეს. საქართველოში ყოველწლიურად დიდძალი ცემენტი იხარჯება მშენებლობებზე. ამ ძვირფას საშენ მასალას ზოგჯერ ისეთ მშენებლობაზე იყენებენ, სადაც შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ თიხაქვიშის დუღაბიც. ცემენტის უთავბოლო გამოყენება ამ ძვირფასი მასალის განიავებას იწვევს.

მშენებლობაში კირის მოხმარება საგრძნობლად შეამცირებს ცემენტის ხარჯს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო კირის წარმოება მეტად მცირდება.

საქართველო მდიდარია ქვის საბადოებით, საიდანაც შეიძლება მივიღოთ იაფი საშენი მასალა — კირი. ასეთი საბადოებით მდიდარია სურამი და ძეგვი, სადაც კირის გამოსაწვავი ქარხნები არსებობენ. კირის გამოწვის წარმოება შეუძლიათ კოლმეურნეობებსაც, სადაც საამისო საბადოები არსებობს.

გამომწვარი კირი ჩაქრობის შემდეგ იძლევა დიდ ნარჩენებს, რაც ხარჯვის ნორმებით გაუმართლებელია და მშენებლები მის გამოყენებას გაურბიან. ამის გამო კირის თვითღირებულება იზრდება. აუცილებლად საჭიროა ქარხნებმა აწარმოონ კირის დაფქვა. ეს ღონისძიება დიდ ეკონომიას მოგვცემს.

მიზანშეწონილად ვთვლით თავის უფლებებში აღვადგინოთ კირი, როგორც მნიშვნელოვანი საშენი მასალა, აღვადგინოთ კირის წარმოება წესიერ ტექნიკურ პირობებში.

ამ საკითხით უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

ინჟ. ვლ. კონდრაცკი.

რევოლუციის რაინდი

მიხეილ დავითაშვილის ფსევდონიმებისათვის

მიხეილ ნიკოლოზის-ძე დავითაშვილი (1877-1916) ლენინური სკოლის პროფესიონალ-რევოლუციონერთა სახელოვან პლეადას ეკუთვნის. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე იგი მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების განხორციელების წინა ხაზზე იბრძოდა.

რევოლუციურ მოძრაობაში დავითაშვილი ჩაება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში პირველი რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაციები იქმნებოდნენ. რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან მოყოლებული მიხ. დავითაშვილი ი. სტალინის, ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის, ფ. მახარაძის, მ. ცხაკაიას, ს. შაუმიანის, მ. ბოჭორიძის და ამიერკავკასიის სხვა ბოლშევიკების გვერდით მტკიცედ იცავდა დიდი ლენინის იდეებს.

მ. დავითაშვილის ბიოგრაფია ფრიად შინაარსიანი და მრავალფეროვანია. იგი დაიბადა 1877 წლის 5 (17) მარტს ყოფილი გორის მაზრის სოფელ როკში (ამჟამად სამხრეთ ოსეთი, ჯავის რაიონი) და დაიღუპა იარაღით ხელში სამშობლოდან შორს — ვერდენის ფრონტზე 1916 წლის 6 მარტს, ეს დაუღალავი, მგზნებარე ბოლშევიკი მარტში მოევლინა მზიან საქართველოს და მარტშივე ჩაეკონა მეორე სამშობლოს, — საფრანგეთის მიწას!

1899 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მიხეილის საბრძოლო მახვილი იყო კალამი. ლენინის იდეების პროპაგანდას იგი ეწეოდა თბილისში, ბაქოში, ბათუმში, გორში და საერთოდ ქართლის სოფლებში, სამხრეთ ოსეთში, დუშეთის მაზრის სოფლებში, მოსკოვში, ლაიპციგში, ჟენევაში, პარიზში, მოქმედი არმიის რიგებში. მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს დავითაშვილი პირადად იცნობდა და მასთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. მიხეილის შემოქმედებითი შრომა ფრიად ნაყოფიერი იყო. იგი ბევრს წერდა და კითხულობდა. მშობლიურ ქართულ ენასთან ერთად კარგად იცოდა რუსული, გერმანული და ფრანგული ენები. მისი ლიტერატურული შემოქმედება ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი. 1906-1907 წლების ბოლშევიკურ და მუშათა პროფესიული კავშირების ლეგალურ და არალეგალურ პერიოდულ გამოცემებში მ. დავითაშვილი ბეჭდავდა მთელ რიგ პოლიტიკურ სტატიებს, ხშირად ფსევდონიმებით ან ხელმოუწერლად აქვეყნებდა თავის წერილებს.

პირველი მისი კორესპონდენციები ჯერ კიდევ 1899 წელს გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა. მიხეილი წერდა ორიგინალურ პოლიტიკურ სტატიებს, ბროშურებს. ამავე დროს ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა თარგმანებზე. თარგმნიდა გერმანული, ფრანგული და რუსული ენებიდან. მ. დავითაშვილმა თარგმნა კ. კაუცკის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ (თბ., 1905, XVIII, 142 გვ.) „მ. ღორეშელის“ ფსევდონიმით, გ. ვ. პლეხანოვის „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“, რომელიც ქართულ ენაზე ორჯერ დაიბეჭდა, პირველად — „მ. ღორეშელის“ ფსევდონიმით (თბ., 1906, 16 გვ.) მეორედ კი „მიშა დავიდოვის“ ფსევდონიმით (თბ., 1917, 16 გვ.).

ამჟამად მ. დავითაშვილის ფსევდონიმებიდან დადგენილად უნდა ჩაითვალოს: ჯან-ბეზარი, ჯ. ბ. (ჯან-ბეზარი), მ. ღორეშელი, ედიშეროვი, მიშა დავიდოვი, შენი ძმა მიხა, ეპიფანე ნიკოლოზის-ძე გელაძე, მიშა და მ-ხო.

მიხ. დავითაშვილის შემოქმედების შინაარსობრივ ანალიზთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ავტორის წერის მანერა, ლიტერატურული სტილი და თვით თემატიკაც. უდავოა, რომ ამ ხერხებით მთელი რიგი წყაროების შესწავლა აუცილებლად ამოაჩენს კიდევ სხვა ორიგინალურ და თარგმნილ ლიტერატურას, ანგარიში უნდა გაეწიოს რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურასაც, რადგან დავითაშვილი ზოგჯერ გერმანული ენიდან რუსულად თარგმნიდა.

ფსევდონიმები მიშა და მ-ხო დავითაშვილმა გამოიყენა ბოლშევიკურ გაზეთ „დროს“ (1907 წ.) ფურცლებზე, რომლის რედაქციის ერთერთი აქტიური წევრი თვითონაც იყო. ყველაზე საყურადღებოა მიხ. დავითაშვილის ორიგინალური ნაშრომი „წერილები ძმასთან“ (თბ., 1906, 63 გვ.), რომელიც ავტორმა რუსულად დაწერა „შენი ძმა მიხას“ ფსევდონიმით, ქართულად კი თარგმნა გიორგი სპირიდონის-ძე ლომთათიძემ (1884-1916) „ამხანაგის“ ფსევდონიმით. ბროშურა ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ავტორი თავის ძმას პეტრე ნიკოლოზის-ძე დავითაშვილს პოპულარული ენით მოუთხრობს იმდროინდელ მთელ რიგ პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებზე, გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასთა შორის ეკონომიურ უთანასწორობაზე, უჩვენებს სწორ მარქსისტულ-ლენინურ გზას ამ კვანძების ამოსახსნელად.

ბროშურა რუსულ ენაზე ყოფილა დაწერილი და მოქმედების სარბიელადაც იმდროინდელი რუსეთის იმპერიაა გამოყვანილი. მაგრამ ავტორის თანამგზავრ პირებად ქართველები არიან დასახელებულნი: პეტრე, მიხა, თედო, სიკო და ნიკო მასწავლებელი. ეს წიგნაკი რუსულ ენაზე დაბეჭდილი ჯერჯერობით ვერ აღმოვაჩინეთ და შეიძლება ავტორმა ვერც მოახერხა მისი გამოცემა.

ფსევდონიმის ამოხსნისათვის ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ბროშურის ავტორი „შენი ძმა მიხა“ ერთ ადგილას ცდილობს გაახსენოს თავის ძმა პეტრეს სკოლის ამბები ბავშვობიდან და ასე მიმართავს: „გახსოვს კიდევ ერთხელ ჩვენმა ამხანაგმა სიკომ ჰკითხა მღვდელს: „მიხა სალდათებმა დაჭერილი რათ ჩამოიყვანეს ქალაქიდან?“ მღვდელმა მიუგო: „იმიტომ რომ ის ლოთია და ღმერთი არა სწამს“, ჩვენ კი ყველამ ვიცოდით, რომ მიხა ყველას საყვარელი კაცი იყო და მთვრალიც თავის დღეში არავის უნახავს. მაშინ წამოხტა თედო და უთხრა მღვდელს — მიხა იმიტომ კი არ დაიჭირეს, რომ ცუდი და ლოთი კაცია, არამედ იმიტომ, რომ მან ქარხანაში მუშებს გაფიცვა მოახდენიაო... ის კი აღარ გახსოვს, რომ ძველი მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ მასწავლებელი ნიკო მოგვივიდა. ის არც თმას გვიწევდა, სახეში გარტყმაც არ იცოდა, მეფეების სახელებს არ გვაზეპირებინებდა, ყველაფერს კარგად გვიხსნიდა და გვასწავლიდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩქარა ამოჰკრეს პანღური“ (გვ. 17).

აი ერთი ასეთი ამონაწერიც: „ხან კიდევ საიდანაც გამოგვიქროლებდნენ ჟანდარმები და სოფლის საყვარელ მასწავლებელს ნიკოს იჭერდნენ და თან მიჰყავდათ, სკოლას კი მივვიკეტავდნენ“ (გვ. 4). მოყვანილი ამონაწერის თანახმად იბადება რამდენიმე კითხვა: ვინ არიან მიხ. დავითაშვილის მიერ ზემოთ დასახელებული ნიკო მასწავლებელი, მუშა რევოლუციონერი მიხა და სკოლის ამხანაგები: პეტრე, თედო და სიკო? ავტორის მიერ მოგონილი პირები არიან, თუ ნამდვილად არსებობდნენ? დიახ, ისინი ნამდვილად რეალური პირები იყვნენ, რომლებსაც ავტორი კარგად იცნობდა.

მიხ. დავითაშვილის ბიოგრაფიის შესწავლით ჩვენ შევძელით ზოგიერთი მათგანის ამოხსნა. ნიკო მასწავლებელი ნიკო ლომოური (1852-1915) უნდა იყოს, რომელიც 1883 წლის 31 აგვისტოდან სიკვდილამდე გორში მასწავლებლობდა. თანახმად თხრობის კილოსი, ისიც ირკვევა, რომ ნიკო მასწავლებელი რამდენჯერმე დაუჭერიათ და კვლავ გაუშვიათ, რაც იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

პეტრე მიხეილის უფროსი ძმა იყო. 1893 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას პირველი მე-5 კლასის მოსწავლე იყო, მეორე კი პირველი კლასისა.

თედო ხომ ვაჟა ფშაველას ძმა თედო რაზიკაშვილი (1869-1922) უნდა იყოს, რომელმაც 1889 წ. დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია, სადაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ნიკო ლომოური ასწავლიდა და ამიტომაც ის თავის მოწაფეებს „არც თმას უწევდა, სახეში გარტყმა მან არ იცოდა და არც მეფის სახელებს აზეპირებინებდა“. 1890 წლიდან თედო რაზიკაშვილი სოფ. ხელთუბანში (გორის რაიონი) მასწავლებლობდა.

სიკოს ამოხსნა ჯერჯერობით ვერ შევძელით, ხოლო „ყველას საყვარელი კაცი მიხა“, ვფიქრობთ, მიხა ბოჭორიძე (1873-1913) უნდა იყოს. შესაძლებელია აქ მიხა ცხაკაია ან მიხა ჩოდრიშვილიც იგულისხმებოდეს. სამივე მიხას ბიოგრაფიული მონაცემები ძალიან უახლოვდება მათს რევოლუციურ მოღვაწეობას იმ პერიოდში და ამიტომ ეს საკითხი კიდევ მოითხოვს დაზუსტებას.

ა. აბრამიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ლიტერატურის განყოფილების გამგე.

არა, მიკრორაიონი ასე არ უნდა შენდებოდეს

თბილისის სწრაფმა განვითარებამ გააფართოვა საზღვრები. ცხოვრებამ მოითხოვა მასობრივი ბინათმშენებლობისათვის დაგვეწყო მიწების ფართოდ გამოყენება საბურთალოს, დიღმისა და ნავთლუღის რაიონებში.

აქ განაშენიანება წარმოებს საბჭოთა ქალაქთმშენებლობის მოწინავე გამოცდილების საფუძველზე, დიდი კვარტალების — მიკრორაიონების შექმნის გზით.

საცხოვრებელ სახლებთან ერთად მიკრორაიონებში რაციონალურად დაპროექტებულია მცხოვრებთა ყოველდღიური მომსახურებისათვის საჭირო დაწესებულებანი — მაღაზიები, სკოლები, პოლიკლინიკები, საბავშვო ბაღები და ბაგები, სასპორტო ნაგებობანი, კინოთეატრები და სხვ., აგრეთვე გასამწვანებელი დიდი ფართობები.

ცხადია, ერთ წელიწადში ასეთ მიკრორაიონს ვერ გააშენებ, მის ფორმირებას დასჭირდება რამდენიმე წელიწადი, ამიტომ მშენებლობა რიგების მთელ წყებად უნდა იქნას დაყოფილი. და რაც მთავარია, იგი ისე უნდა წარმოებდეს, რომ უკვე პირველი ახალმოსახლენი არ განიცდიდნენ სიძნელეებს თავიანთ ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში.

პრაქტიკამ კი დაგვანახვა, რომ მიკრორაიონების გაშენებაში დაშვებულია უხეში შეცდომები, რომელთა გამოსწორება დიდი გაჭირვებით და ძლიერ ნელა წარმოებს.

1959 წლის დამლევიდან დაიწყო საცხოვრებელი მასივის სწრაფად დასახლება 26 კომისრის რაიონში. უკვე დღეისათვის აქ ცხოვრობს 10 ათასზე მეტი კაცი; საექსპლოატაციოდ გადაცემულია 50-ზე მეტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მაგრამ დღემდე აშენებული არ არის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურების არცერთი მუდმივი ნაგებობა, არცერთი საბავშვო დაწესებულება.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მშრომელთა ყოველდღიური მომსახურების ზოგიერთი საწარმო უკვე შექმნილია, მაგრამ ისინი განლაგებულია უხერხულად, ცუდად მოწყობილ დროებითს სათავსებში, და ვერც მთლიანად აკმაყოფილებენ მცხოვრებთა საჭიროებებს.

არსებული სავაჭრო წერტები ვიწროა, ცუდად მოწყობილი, სანიტარული პირობები იქ დამაკმაყოფილებელი ვერ არის, სავაჭრო მომსახურება ცუდად არის მოწყობილი, არ არის ვაჭრობა საოჯახო საქონლით, ნახევარ-ფაბრიკატებით და სხვ.

არაერთხელ გვსმენია დიასახლისების საჩივრები, რომ ერთი კოჭი ძაფისათვის უხდებათ ქალაქში წასვლა, დაახლოებით საათნახევრის დაკარგვა.

სრულებით არ შეესაბამება მოთხოვნებს პოლიკლინიკისა და ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი შენობა.

ამრიგად, ეს მიკრორაიონი ვერ ამართლებს პროექტის ჩანაფიქრს. გასაგებია, რომ მიკრორაიონების მშენებლობა ახალი საქმეა და, რა თქმა უნდა, თავდაპირველად თავიდან ვერ იქნა აცილებული შეცდომები და ნაკლოვანებები. მაგრამ ეს შეცდომები და ნაკლოვანებები მეორდება სხვა მასივების მშენებლობაზეც საბურთალოსა და დიღომში.

შენდება მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, დანარჩენ ნაგებობათა მშენებლობა კი ჩამორჩება. მაგრამ განა საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ბინების მარტო კვადრატული მეტრები დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც მოწმობენ? რა თქმა უნდა, არა. საბჭოთა ადამიანებს ბევრი სხვა რამეც ესაჭიროებათ საარსებო და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. და აი ეს „სხვა რამ“, — ის, რაც ბინის კვადრატულ მეტრებში არ შედის, საცხოვრებელ სახლებთან ერთად უნდა გადაეცემოდეს ხოლმე საექსპლოატაციოდ. ამისათვის კი საცხოვრებელი სახლების მასივებში პირველი სართულები უნდა ეთმობოდეს მაღაზიებს, პოლიკლინიკებს, სასადილოებს, ბიბლიოთეკებს და სხვ., ესე იგი უნდა ვაკეთებდეთ ისე, როგორც ქალაქში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს.

ასეთი გადაწყვეტა იმიტომაც არის გამართლებული, რომ ხელს შეუწყობს სოციალისტური ყოფის ჩამოყალიბებას და მომსახურების ახალი სოციალისტური ფორმების დანერგვას — სახლის სამზარეულოების, სასადილოების, საზოგადოებრივი სამრეცხაოების, წითელი კუთხეების შექმნას. საბჭოთა ადამიანი მხოლოდ თავისი ბინის ფარგლებით ვერ შეიზღუდება.

ძალიან დასანანებელია, რომ ამ სახლებში გათვალისწინებული არ არის განჯინებისა და წალოების მოწყობა. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ ბინაში, სადაც ყოველი კვადრატული მეტრი ანგარიშშია მისაღები, უკმაყოფილო არიან საბავშვო ეტლების, ველოსიპედებისა და მოტოციკლების მქონენი, რომლებიც დიდ სიძნელეებს განიცდიან, რადგან გადაუჭრელი დარჩა შენახვის საკითხი, სარდაფები არ არის, ხოლო სართულებზე ამ ნივთების ატანა ძნელია.

ანდა ავიღოთ საზოგადოებრივი სამრეცხაოების მოწყობის საკითხი. დღემდე თეთრეული როგორც წესი სამზარეულოებში ირეცხება, რაც არაჰიგიენურია. ბევრ შემთხვევაში გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ცოკოლის სართულებში ეწყობოდეს სამრეცხაო, ვიდრე ერთი-ორი არცთუ სავსებით სალი ბინა, რომლებიც მიწის დონეზე 1,0-1,2 მეტრით დაბლაა.

თუ 36 და 48-ბინიანი სახლები, მთელი თავიანთი ნაკლის მიუხედავად, მაინც მისაღებია, სამაგიეროდ ეგრეთწოდებული შემსუბუქებული ტიპის (უაბაზანო) 44-ბინიანი სახლების შემდგომი მშენებლობა უნდა აიკრძალოს. საოცარია, როგორ მოხდა, რომ მათი პროექტი მიღებულ იქნა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მართლაც, ასეთი სახლის ბინის შესასვლელში ჩანს 8-10 სანტიმეტრი სისქის ტიხარი, რომელიც 10-11 კვადრატულ მეტრ ფართობიან ოთახს 2,3 კვ. მეტრს ართმევს, სამზარეულოსათვის კი გათვალისწინებულია ნახევარი სიმაღლის ტიხარი, რომლის უკან ავტორის აზრით ეწყობა საშხაპე. ამ შეხამებაზე შეიძლება ითქვას, თაფლი კარგია, მაგრამ კუპრი ურევიაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხების გადაჭრა აღარ შეიძლება გადაიდოს. მასივებში ნამდვილად უნდა გაჩნდეს მოსახლეობის ყველა მოთხოვნისა და ინტერესების შესაბამისი მიკრორაიონები. ამაზე პირველ რიგში უნდა იზრუნოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

გ. სიმონიშვილი,
„მთავართბილმშენის“ საწარმოო განყოფილების უფროსი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გაგაწრული წიგნები“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ქარელის რაიონის ქვემო ხვედურეთის სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კპ ქარელის რაიკომიდან გვატყობინებენ:

ფაქტები **სინამდვილეს შეეფერება და მთლიანად დადასტურდა.** ქარელის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭომ და ქვემო ხვედურეთის კოლმეურნეობის გამგეობამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გაატარეს ღონისძიებანი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები მოთავსებულია თაროებზე. შეძენილია ახალი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, მუშაობა დაიწყო აგრონომიულმა წრემ, ხოლო მიმდინარე წლის ივლისის ბოლოსათვის მოეწყობა მკითხველთა კონფერენცია.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები მსოფლიოდან

დაე გაიმარჯვოს გონიერებამ

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გამო სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა მიღებაზე

ჰავანა. 10 ივლისი. (საკდესი). კრემლში სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა მიღებაზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის სრული ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთებში „ნოტისიას დე ოის“ და „მუნდოში“. გაზეთმა „ნოტისიას დე ოის“ სიტყვა გამოაქვეყნა სათაურით: „თუ იმპერიალიზმმა ახალი ომი გააჩაღა, მას გაანადგურებენ და სავსებით მოსპობენ“; გაზეთ „მუნდოს“ სათაურად გადაჭიმული აქვს მთელ პირველ გვერდზე სიტყვები „მშვიდობისათვის უნდა მოვუწოდოთ და არა ომისათვის“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში გაზეთი „მუნდო“ ამ სიტყვას უწოდებს „გონიერებისათვის მოწოდებას“. „კრემლის პოზიცია, — წერს გაზეთი, — ნათელია. საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს გერმანიის პრობლემა სრული გულახდილობით, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გამოთქვას თავისი იდეები და მოისმინოს მოპირდაპირე მხარის იდეები, მხურვალე სურვილი აქვს გამონახოს ფორმულა, რომელიც გაითვალისწინებს ყველას კანონიერ ინტერესებს. მაგრამ მოსკოვის მთავრობას ესოდენ ხანგრძლივი მოთმინებითი ლოდინის შემდეგ არ სურს იყოს დასავლეთის სახელმწიფოთა იმ თამაშის თანამონაწილე, რომელიც მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ევროპაში ისეთი ვითარება, რომელსაც შეიძლება მხოლოდ კატასტროფა მოჰყვეს; და ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი გერმანია თავიანთი მოკავშირეების თანამშრომლობით (რაც თუმცა ყოველთვის გულმოდგინე არ არის) თავგამოდებით ემზადებიან მესამე მსოფლიო ომისათვის და ამასთან ატყუებენ თავიანთ ხალხებს აბსოლუტურად თვალთმაქცური პაციფისტური განცხადებებით“.

სწორედ ამას, — ხაზს უსვამს გაზეთი, — ააშკარავებს არსებითად მთელი მსოფლიოს წინაშე პრემიერ-მინისტრი ხრუშჩოვი კრემლში წარმოთქმულ თავის სიტყვაში. მან ამავე დროს გააფრთხილა ვაშინგტონელი „პოკერის მოთამაშენი“, რომ მსოფლიო არ აპირებს მოითმინოს, რომ მისი ბედი ბანქოს სათამაშოდ გაიხადონ, და რომ თუ ისინი გონიერების გზას არ დაადგებიან, აღმოჩნდება ძალები, რომლებიც მზად იქნებიან პასუხი გასცენ მათ ბლეფს“.

სოფია. 10 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა მიღებაზე. ყველა ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდზე დიდრონი სათაურებითა და ქვესათაურებით აქვეყნებს სიტყვის ტექსტს. „დაე იმათ, ვინც ომს ფიქრობს, ნუ ჰგონიათ, რომ მანძილი გადაარჩენთ“, „დაე წარსულ ომში სსრ კავშირის მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელები — კენედი, დე გოლი და მაკმილანი მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას სხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებთან ერთად და დადონ საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან“, „ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების სამხედრო ღონისძიებათა პასუხად საბჭოთა მთავრობა დამატებითს ღონისძიებებს ახორციელებს სსრ კავშირის უშიშროების უზრუნველსაყოფად“, „საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან მშვიდობის გზაა“ — ხაზს უსვამენ გაზეთები.

პარიზი, 10 ივლისი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანოვი იუწყება: საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა მიღებაზე განსაკუთრებით დიდი ინტერესით შეხვდნენ საფრანგეთში.

ბურჟუაზიული პროპაგანდისტები, რომლებიც ჩვეულებისამებრ ამტკიცებენ, საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვა „ახალს არაფერს შეიცავსო“, ცდილობენ ეს სიტყვა დასახონ „ახალ მუქარად“ და დასავლეთის „დასაშინებელ მანევრად“. ეს პროპაგანდისტები არ ირჯებიან ობიექტური ანალიზი გაუკეთონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს და მთავარ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მთავრობის იძულებით გადაწყვეტილებას — გაადიდოს ასიგნებანი თავდაცვის საჭიროებისათვის და შეაჩეროს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირება. ამასთან ბურჟუაზიული კომენტატორები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობის ასეთი ღონისძიება ნაკარნახევია საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებით ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ღონისძიებათა გამო.

განსაკუთრებულ გულმოდგინებას ამ მხრივ იჩენენ მემარჯვენე გაზეთები „ორორი“, „ფიგარო“ და „პარი ჟური“. მაგრამ საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვის ძირითადი შინაარსის გადმოცემისას ვერც ისინი მალავენ საბჭოთა კავშირის წინადადებათა მშვიდობისმოყვარულ ხასიათს, რომელთა მიზანია მდგომარეობის ნორმალიზაცია ევროპის ცენტრში.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანს ბურჟუაზიული პრესის ორგანოებშიც კი სულ უფრო ხშირად გაისმის ტონი, რომ საჭიროა რათა დასავლეთის სახელმწიფოებმა აგრეთვე გადადგან ნაბიჯები გერმანიის პრობლემისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ამ აზრს დღეს საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვამს თავის კომენტარებში პროვინციული გაზეთი „დეპეშ დიუ მიდი“, რომელიც ხაზს უსვამს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ ამ საკითხების მოწესრიგებას და არა მისჩანჩალებდნენ კუდში ბონს, მით უფრო, რომ „კანონიერი უფლება და სტრატეგიული უპირატესობა მეორე მხარეს ეკუთვნის“.

საფრანგეთის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას, რომელიც შეშფოთებულია თავისი ქვეყნის მმართველი წრეებისა და ბონელი მილიტარისტების მორიგებით, მიაჩნია, რომ მხოლოდ გერმანიის პრობლემისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის უსწრაფეს მშვიდობიან მოწესრიგებას შეუძლია დაიცვას საფრანგეთი გერმანული მილიტარიზმის საფრთხისაგან, მილიტარიზმისა, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები ასაზრდოებენ.

საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი „ლუმანიტე“, „სერიოზული გაფრთხილებით მიმართავს იმათ, ვინც დაკარგავს ჭკუას და ბონელ რევანშისტებთან ერთად შეეცდება ომში გადაჩეხოს მსოფლიო. იმათ, ვინც დე გოლის მსგავსად უკვე განახორციელა სამხედრო ღონისძიებანი ამ მიმართულებით, ხრუშჩოვი უპასუხებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა იალქნიანი გემების, არამედ თერმოატომური რაკეტების ეპოქაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა, ამრიგად, ერთსა და იმავე დროს არის ახალი მოწოდება მოლაპარაკებისათვის და მხნელი მიმართვა სინამდვილისა და გონიერებისადმი“.

ლონდონი. წინადადებანი, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება მალე მოხდეს საერთაშორისო მდგომარეობის ნორმალიზაცია და რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა თავის სიტყვაში სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა მიღებაზე, კვლავ იპყრობენ დიდ ყურადღებას ლონდონში. როგორც იუწყებიან, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას გულმოდგინედ სწავლობს ინგლისის მთავრობა. ყველა უდიდესი გაზეთი საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვასთან დაკავშირებულ ცნობებს თვალსაჩინო ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე.

მაგრამ ადამიანს თვალში ეცემა, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდა, რომელსაც შეგნებული აქვს საბჭოთა წინადადებების უცილობელი ლოგიკა გერმანიის პრობლემისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგების შესახებ, ცდილობს თავის „კომენტარებში“ ჩაახრჩოს ამ წინადადებათა არსი. არსებითად მასობრივი ტირაჟის არც ერთ ბურჟუაზიულ გაზეთს არ დაუბეჭდავს რამდენიმე დაწვრილებითი ანგარიში ან ობიექტური ანალიზი საბჭოთა წინადადებებისა. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დებულებანი საკმაოდ ფართოდ მოყვანილია დღეს მხოლოდ გაზეთ „ტაიმსში“, რომლის მკითხველები ძირითადად საზოგადოების პრივილეგიური ფენების ადამიანები არიან.

მაგრამ „ტაიმსი“, კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, აგრეთვე გვერდს უვლის ძირითად არგუმენტებსა და დებულებებს, პირველ პლანზე აყენებს ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი დროებით აჩერებს თავისი შეიარაღებული ძალების შემცირებას და ადიდებს თავდაცვის ხარჯებს. ამავე დროს გაზეთი აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის ეს მოქმედება იძულებითია, საჭიროა უშიშროების უზრუნველყოფისათვის და განხორციელებულია დასავლეთის სახელმწიფოთა საომარი მზადების პასუხად.

ამავე დროს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ბევრი გაზეთის კომენტარებს წითელ ზოლად გასდევს აზრი: ნაცვლად იმისა, რომ იარაღი აჩხარუნონ, დასავლეთის სახელმწიფოები უნდა დათანხმდნენ მოლაპარაკებას გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხების გადასაჭრელად. „მობილიზაცია შეერთებული შტატების მხრივ ან ყვირილი შეიარაღებული კოლონის გაგზავნის შესახებ, რათა ძალით გაკვალონ გზა ბერლინისაკენ, როცა საბჭოთა კავშირი ხელს მოაწერს სეპარატულ ხელშეკრულებას აღმოსავლეთ გერმანიასთან, მხოლოდ გააუარესებს ვითარებას“, — წერს გაზეთი „გარდიანი“. გაზეთი მოუწოდებს დასავლეთის სახელმწიფოებს ხელი აიღონ „პროვოკაციულ გეგმებზე“ და მოქნილობა გამოიჩინონ. „ჩვენ ოსტატურად და ბეჯითად უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკება“, — წერს „იორკშირ პოსტი“.

ასეთია ბურჟუაზიული პრესის გამონათქვამი. რაც შეეხება დემოკრატიული საზოგადოებრიობის გამოხმაურებას, მას მიაჩნია, რომ საბჭოთა წინადადებანი მოწმობენ საბჭოთა კავშირის მტკიცე განზრახვას დასვას უმნიშვნელოვანესი საკითხები და მოაწესრიგოს საერთო საკეთილდღეოდ.

ტოკიო, 10 ივლისი. (საკდესი). იაპონიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას კრემლში სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე.

გაზეთი „ტოკიო სიმბუნი“ კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადება თავდაცვის ხარჯების გადიდებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების დროებით შეჩერების შესახებ არის „ნათელი გაფრთხილება დასავლეთელთა მკაცრი კურსის მომხრეებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ არ უნდა მოერიდონ საბჭოთა კავშირთან შეჯახებას დასავლეთ ბერლინის თავისუფლებისათვის.

ი. ა. გაგარინი ლონდონში

ლონდონი, 11 ივლისი. (საკდესი). მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ი. ა. გაგარინი დღეს ჩამოვიდა ლონდონში, სადაც ეწვევა საბჭოთა სამრეწველო გამოფენას და სადაც ინგლისის საპლანეტათაშორისო საზოგადოება გადასცემს მას ოქროს მედალს, რომელიც სპეციალურად გამოჭედეს კოსმოსში პირველი გაფრენის აღსანიშნავად...

ათასობით ლონდონელი შეიკრიბა, რომ შეხვედროდა საბჭოთა ხალხის მამაც შვილს.

დედოფლის ელისაბედ მეორისა და ინგლისის მთავრობის სახელით მსოფლიოს პირველ კოსმონავტ მფრინავს მაიორ ი. ა. გაგარინს მიესალმა მეცნიერების საკითხთა მინისტრის წარმომადგენელი ფრენსის ტერბული. მაიორ ი. ა. გაგარინს შეხვდნენ აგრეთვე ავიაციის მარშალი რონალდ ლიზი, კომპანია „ინდასტრიალ ენდ ტრეიდ ფეირ ლიმიტედის“, (რომლის მიწვევით ი. ა. გაგარინი ლონდონში ჩავიდა) გამგეობის თავმჯდომარე ლორდი დროიდი და სხვები.

ი. ა. გაგარინმა, რომელიც შემხვედრთა წინაშე გამოვიდა, თქვა: „უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო კომპანია „ინდასტრიალ ენდ ტრეიდ ფეირ ლიმიტედის“ ხელმძღვანელებს ლორდ დროიდსა და ბატონ შერონს თავაზიანი მიწვევისათვის ინგლისში ლონდონში საბჭოთა სამრეწველო გამოფენის მოწყობის დროს, ხოლო ყველას თქვენ—გულთბილი მიღებისათვის, რომელიც აქ მომიწყეთ.

მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მფრინავი ი. ა. გაგარინი, ელჩი ა. ა. სოლდატოვი და დირექტორი შერონი სხდებიან ღია მანქანაში — ვერცხლისფერ „როლსროისში“, ბევრი ლონდონელი, რომლებიც შეიკრიბნენ აეროპორტის შენობასთან, აცილებენ მანქანას მისასალმებელი შეძახილებით: „ყოჩაღ, იური!“, „მოხარული ვართ, რომ განახეთ, იური“.

მანქანების კოლონა მოტოციკლეტისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ლონდონის ქუჩებით საბჭოთა საელჩოსაკენ მიდის. მთელ გზაზე მამაც კოსმონავტს ი. ა. გაგარინს მხურვალედ მიესალმებიან ინგლისის დედაქალაქის მცხოვრებნი.

საბჭოთა მემორანდუმი

სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის

ჟენევა, 11 ივლისი, (საკდესი), როგორც აქ ცნობილი გახდა, საბჭოთა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს 32-ე სესიაზე საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს გაუგზავნა მემორანდუმი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომ ხელი შეუწყონ კოლონიალიზმის ეკონომიური შედეგების უსწრაფეს ლიკვიდაციას და შექმნან პირობები ეროვნული ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

„სანამ ქვეყანა სუსტად განვითარებულია ეკონომიურად, სანამ მის სამეურნეო წყობაში თავს იჩენს კოლონიური წარსულის მემკვიდრეობა, ადვილია მისი დამონება ეკონომიურად და მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრა. კოლონიალიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ აღმოფხვრილად, სანამ არ ამოძირკულა მისი ღრმა და განშტოებული ეკონომიური ფესვები“, — ნათქვამია მემორანდუმში. საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა შეუდგნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში გრძელვადიანი საერთაშორისო პროგრამის შემუშავებას. პროგრამის მთავარი მიზანი უნდა იყოს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური განვითარების ისეთი ტემპის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ამ ქვეყნებს ისტორიულად მოკლე ვადებში დაძლიონ მათ ეკონომიკასა და მსოფლიოს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნების ეკონომიკას შორის არსებული დიდი განსხვავება. გათვალისწინებულია, კერძოდ, ამ ქვეყნებმა დააჩქარონ საკუთარი მრეწველობის შექმნა, საკუთარი რესურსებისა და საშუალებების მობილიზაცია, ხელი შეეწყოს მათ ნედლეულის ბაზისა და ეროვნული კადრების მომზადებაში, ყოფილმა კოლონიზატორებმა დაუბრუნონ ამ ქვეყნებს თუნდაც ნაწილი გატანილი ფასეულობისა.

უარის თქმა არაეკვივალენტურ გაცვლაზე ვაჭრობაში, მერყეობის აღმოფხვრა ვაჭრობის დარგში და ნედლეულის ფასებში, საკუთარი წარმოების საქონლის გასაღების მყარი ბაზრების უზრუნველყოფა—აი რა პირობები შეუწყობენ ხელს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ პროგრესს.

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის ახლანდელი საქმიანობა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური განვითარებისათვის ხელისშეწყობის საკითხებში. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებმა, ნათქვამია დოკუმენტში, უნდა უარყონ ცალკეულ სახელმწიფოთა ცდები —გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი ანგარებითი მიზნით.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია უახლოეს ხანში მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს არა მარტო კოლონიალიზმის ეკონომიური ფესვების ამოძირკვას, არამედ იმასაც, რომ მსოფლიოში შეიქმნას პირობები, რომლების დროსაც უკვე ახლანდელი თაობის ცხოვრების მანძილზე შესაძლებელი გახდება ყველგან აღმოიფხვრას სიღატაკე, შიმშილი, სხვადასხვა ავადმყოფობა და უწიგნურობა.

წერილი ლონდონიდან

ინგლისელები უსმენენ ქართველ პოეტებს

ლონდონის ერთ-ერთი ახალი ბიბლიოთეკის დარბაზში საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საზოგადოების თაოსნობით ივნისში მოეწყო საბჭოთა პოეზიის საღამო.

შეკრებილ საზოგადოებას შესავალი სიტყვით მიმართა ინგლისელმა მწერალმა ჯეკ ლინდსეიმ. იგი გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს და მოკლედ დაახასიათა საბჭოთა პოეზიის განვითარების თანამედროვე დონე. ლინდსეიმ იმედი გამოთქვა, რომ ინგლისური აუდიტორია ინტერესით მოისმენს საბჭოთა პოეზიის ნიმუშებს, რომელთა შორის, ჩემი აზრით, მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქართული პოეზია განსაკუთრებით სრულად არის წარმოდგენილიო.

ალექსეი სურკოვმა ხატოვნად ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეტური მემკვიდრეობის თავისებურებაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პოეზია გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ეს დასავლეთში წარმოუდგენიათ: რუსული პოეზიის გარდა, რომელსაც ინგლისელები ცოტა მაინც იცნობენ, საბჭოთა კავშირში ნაყოფიერად ვითარდება როგორც უხუცესი ქართული პოეზია, ისე ზოგიერთი ერების ახლადშობილი პოეტური კულტურაც.

ჯეკ ლინდსეიმ დამსწრეთ მოკლედ გააცნო ალექსეი სურკოვის, მიკოლა ბაჟანის, სიმონ ჩიქოვანისა და გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიები, რის შემდეგაც ბიბლიოთეკის დარბაზის სცენიდან წაიკითხეს საბჭოთა პოეზიის ნიმუშები რუსულ, უკრაინულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბევრი დამსწრისათვის უკვე ნაცნობი რუსული ენის გარდა დარბაზში გაისმოდა ხან მიკოლა ბაჟანის მელოდიური უკრაინული, ხან სიმონ ჩიქოვანის ვაჟკაცური — „ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს“, რომელსაც კვლავ გრიგოლ აბაშიძის მგზნებარე ქართული ენაცვლებოდა.

„თავმოძულებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით,
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი“.

სიმონ ჩიქოვანისა და გრიგოლ აბაშიძის ლექსების რუსული თარგმანები წაიკითხა მწერალმა ირაკლი ანდრონიკაშვილმა. მანვე ჩვეული ოსტატობით წაუკითხა მსმენელებს საკუთარი მოთხრობა „სალვინის შეცდომა“.

ინგლისურმა აუდიტორიამ გულთბილად მიიღო ეს საინტერესო ლიტერატურული საღამო.

ნიკო მაჩხანელი.

ივნისი, 1961 წ. ლონდონი.

სახელოვანი ორმოცი წლისთავი

საზეიმო კრება მოსკოვში

მოსკოვი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, მიძღვნილი მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 40 წლისთავისადმი.

დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, როცა პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ვ. ვ. გრიშინი, საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი და სხვები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა.

მოხსენება მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 40 წლისთავის შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირში მონღოლეთის ელჩის სონომინ ლუვსანის სიტყვა.

დაე იმათ, ვინც ომს ფიქრობს, ნუ ჰგონიათ, რომ მანძილი გადაარჩენთ, არა, თუ იმპერიალისტებმა ომი გააჩაღეს, ეს ომი იმპერიალიზმის სრული განადგურებითა და დაღუპვით დამთავრდება. კაცობრიობა ერთხელ და სამუდამოდ მოუღებს ბოლოს იმ წყობილებას, რომელიც დაპყრობით ომებს წარმოშობს.

ნ. ს. ხრუშჩოვი.



თუ იმპერიალიზმს თავი ასტკივდება...

ნახ. გ. ლომიძისა.

ჰემინგუეის ქვრივის განცხადება

ლონდონი, 10 ივლისი. (საკდესი). ერნესტ ჰემინგუეიმ სულ ცოტა ორი გამოუქვეყნებელი რომანი დატოვა, განაცხადა მწერლის გარდაცვალების შემდეგ თავის პირველ ინტერვიუში ჟურნალისტებთან ქ-ნმა ჰემინგუეიმ. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მწერლის ქვრივს განუცხადებია, რომ ერთი ხელნაწერი ინახება ბანკის სეიფში ახლომდებარე ქალაქ ჰეილიში (აიდაჰო), ხოლო მეორე — კუბის ბანკში.

ჰემინგუეის დარჩა აგრეთვე რამდენიმე ლექსი და სხვა ნაშრომი, თქვა ქ-ნმა ჰემინგუეიმ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი სად ინახებაო.

მწერლის ქვრივმა აგრეთვე განაცხადა „საგადასახადო ვითარების გამო“ არ ვაპირებ გამოვაქვეყნო ეს ნაშრომები ამჟამადო.

ქ-ნმა ჰემინგუეიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა მწერალი სიკვდილისწინა საღამოს, დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევითი იყო გასროლა, რომელმაც ტრაგიკულად შეწყვიტა ჰემინგუეის სიცოცხლე 2 ივლისს.

ი. ცედენბალის გამოსვლა ულან-ბატორის რადიოთი

ულან-ბატორი, 11 ივლისი. (საკდესი). დღეს დილით ულან-ბატორის რადიომ გამოაქვეყნა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცედენბალის გამოსვლა.

ი. ცედენბალმა მიულოცა მონღოლ ხალხს სახალხო რევოლუციის 40 წლისთავი.

ჩვენი სამშობლოს ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს, თქვა მან, ჩვენი ქვეყნის მშრომელები სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეული დიდი შრომითი წარმატებებით ხვდებიან. ჩვენთან ერთად ჩვენს დიდ დღესასწაულს აღნიშნავენ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, მოძმე ხალხები მძლავრი სოციალისტური ბანაკისა, რომლის ავანგარდში დგას ჩვენი მუდმივი და ყველაზე ერთგული მეგობარი — საბჭოთა კავშირი.

ჩვენი სამშობლო, რომელმაც ბრძოლისა და გამარჯვებათა ორმოცი წლის გზა განვლო, განაცხადა შემდეგ ი. ცედენბალმა, შემოქმედებითი ძალებით აღსავსე შედის თავისი განვითარების ახალ პერიოდში — სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდში.

გამალებული შეიარაღება

ვაშინგტონი, 10 ივლისი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ დღეს ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე პრეზიდენტმა კენედიმ დაავალა მას „უზრუნველყოს ამერიკის შეერთებული შტატების საკმარისი სამხედრო ძალა“. „შეიარაღებული ძალების მდგომარეობის სამი გამოკვლევის შედეგად, რაც მოხდა 20 იანვრის შემდეგ, აგრეთვე ახალი ბიუჯეტის შესწავლის შედეგად, ნათქვამია განცხადებაში, განხორციელდა ღონისძიებანი შეიარაღებული ძალების ატომური და არაატომური ძალის გასადიდებლად“.

თუმცა ამერიკის შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად ღონისძიებანი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე დიდიხანია განახორციელეს, მაგრამ თავდაცვის მინისტრი ამ ღონისძიებათა გასამართლებლად იმოწმებს იმას, რომ საბჭოთა კავშირმა საპასუხო ღონისძიებანი განახორციელა თავისი თავდაცვის განსამტკიცებლად.

მაკნამარა ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძლიერი არიან „თუ უფრო ძლიერი არა“ — ყოველ სხვა მხარეზე და ამავე დროს აცხადებს, რომ ახლა მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჭიროებათა ახალი გადასინჯვა.

სელინჯერის განცხადება

ვაშინგტონი, 11 ივლისი. (საკდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა სელინჯერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა კენედიმ გასცა მითითება ანალიზი გაუკეთონ შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტსა და სამხედრო მოთხოვნილებებს.

ეს ნაბიჯი, თქვა სელინჯერმა, უშუალო შედეგია კენედის თათბირისა სახელმწიფო მდივან რასკთან, თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან და პრეზიდენტის პირად სამხედრო მრჩეველ გენერალ ტეილორთან 8 ივლისს პრეზიდენტის ოჯახის მამულში (ჰაიანის-პორტში).

განის რესპუბლიკა. კვამე ნკრუმას სახელობის მოედანი აკრაში. ფოტო მ. რედკინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ტელეგრაფი გვატყობინებს

△ **როგორც** სტამბოლიდან იუწყებიან, ცნობილი თურქი მწერალი და ჟურნალისტი აზიზ ნესინი და გაზეთ „ტანინის“ რედაქტორი იხსან ადა განთავისუფლებული არიან პატიმრობიდან. მათ საპყრობილეში გაატარეს თითქმის ორი თვე და ბრალად ედებოდათ „კომუნისტური პროპაგანდის გავრცელება“.

△ **მარსელის** (საფრანგეთი) რაიონში გაჩნდა დიდი ტყის ხანძარი. ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა ჯარის დიდი ნაწილი. მეორე ტყის ხანძარი გაჩნდა ქალაქ პერპინიანის (აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტი) მახლობლად. ხანძარმა უკვე გაანადგურა 200 ჰექტარზე მეტი ტყე.

△ **რკინიგზის** ექსპრესი ტაივანის სამხრეთ ნაწილში დაეჯახა ხალხით გაჭედილ სამგზავრო ავტობუსს. მომხდარი კატასტროფის შედეგად დაიღუპა 48 და მძიმედ დაიჭრა ორი კაცი.

△ **რკინიგზის** კატასტროფის შედეგად, რომელიც მოხდა 600 კილომეტრზე ბანგკოკის ჩრდილოეთით, დაიღუპა 24 და მძიმედ დაიჭრა 60-ზე მეტი კაცი. ზარალმა, რომელიც მოჰყვა ტაილანდის ისტორიაში ამ ყველაზე დიდ რკინიგზის კატასტროფას, შეადგინა მილიონი ბატი.

△ **შტორმმა** მდინარე ლინდეს (მოზამბიკი) შესართავში რიფებთან მიაგდო პორტუგალიის სატრანსპორტო გემი „სავე“, რომელშიც იყო 200 პორტუგალიელი ჯარისკაცი და 850 მგზავრი. გემზე, რომელსაც საომარი მასალები და საწვავი დაჰქონდა პორტუგალიის კოლონიური არმიისათვის, გაჩნდა ძლიერი ხანძარი და მოხდა რამდენიმე აფეთქება. არასრული მონაცემებით, გემის აფეთქების შედეგად დაიღუპა 215 კაცი. (საკდესი).

თათბირი ლაოსის შესახებ

ჟენევა, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს ლაოსის პრობლემის მოწესრიგების საერთაშორისო თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი გ. მ. პუშკინი და დაახასიათა უკანასკნელი მანევრები დასავლეთის დიპლომატიისა, რომელიც უმთავრესად მოითხოვს ლაოსის საერთაშორისო საკონტროლო კომისიის ამოცანების განხილვას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხის ასეთი დაყენება სრულიად გაუმართლებელია.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კონტროლის საკითხის გადაწყვეტამდე საჭიროა შეთანხმება ლაოსის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფის შესახებ. სრულიად ბუნებრივია, განაცხადა გ. მ. პუშკინმა, რომ მხოლოდ ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის შესახებ დეკლარაციის შეთანხმების შემდეგ შეუძლია თათბირს დაიწყოს საკონტროლო კომისიის რწმუნებათა შესახებ დოკუმენტის განხილვა. ამასთან გ. მ. პუშკინმა დააზუსტა, რომ საბჭოთა წინადადებანი, რომელნიც მოიცავენ ლაოსის პრობლემის მთელ კომპლექსს — დაწყებული ლაოსის ნეიტრალიტეტით და გათავებული ამ ქვეყნის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანითა და კომისიის რწმუნებათა განსაზღვრით, ერთ მთლიანობას წარმოადგენენ.

გ. მ. პუშკინმა მოუწოდა თათბირს განიხილოს ძირითადი დოკუმენტი ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სამმხრივ მოლაპარაკებას პრობლემის საშინაო ასპექტებზე თვით ლაოსში.

გ. მ. პუშკინმა განაცხადა, რომ თათბირის თანათავმჯდომარეებმა ამ დღეებში მოამზადეს წერილი საერთაშორისო საკონტროლო კომისიისადმი ტექნიკურ საშუალებათა საკითხზე. მაგრამ ეს დოკუმენტი არ გაგზავნილა. ზოგიერთი დელეგაციის გავლენით, რომლებიც არ დაეთანხმნენ მის ტექსტს“.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ინგლისის წარმომადგენელი მაკდონალდი, სახალხო პოლონეთის წარმომადგენელი მიხალოვსკი და სხვები.

დაბრუნდა ამერიკის თანამგზავრის კაბინი

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. (საკდესი). როგორც ჰონოლულუს პრესა იუწყება, თვითმფრინავმა „ს-119“ დაიჭირა თანამგზავრ „დისკავერერ 26“-ის კაბინი, თანამგზავრისა, რომელიც 7 ივლისს გაუშვეს ვანდენბერგის (კალიფორნია) საავიაციო ბაზიდან.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვანდენბერგის ბაზიდან იუწყება, ეს სათვალავით მეოთხე წარმატებითი ოპერაციაა თვითმფრინავით კაბინის დაჭერისა 26 გაშვებიდან. გარდა ამისა, 26-დან 2 სხვა თანამგზავრის კაბინი წყლიდან ამოიღეს, რვა გაშვება წარუმატებელი აღმოჩნდა.

„დისკავერერ-26“ თანამგზავრმა 32-ჯერ შემოუარა დედამიწას, სანამ მას კაბინი გამოეყოფოდა.

„ჯაშუში“ ვერ აფრინდა

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. (საკდესი). როგორც იუპის სააგენტო პოინტ-არგუელიდან (კალიფორნია) იუწყება, დღეს იქ უშედეგოდ სცადეს გაეშვათ „მიდას-III“ ტიპის „თანამგზავრი ჯაშუში“. რაკეტა, რომელსაც ორბიტაზე უნდა გაეყვანა ფოტოდაზვერვისათვის სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი თანამგზავრი, ვერ ამუშავდა და მთელი სისტემა ვერ ავიდა მაღლა სასტარტო მოედნიდან.

„საუცხოო გამოფენა“

ლონდონი, 11 ივლისი, (საკდესი). გუშინ საბჭოთა სამრეწველო გამოფენას ლონდონში ეწვია პაკისტანის პრეზიდენტი აიუბ-ხანი, რომელიც ინგლისში იმყოფება არაოფიციალურ ვიზიტად.

გამოფენის დათვალიერების დროს პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „სოფლის მეურნეობისა“ და „ნავთობის მრეწველობის“ განყოფილებებს. გამოფენის დათვალიერების შემდეგ პრეზიდენტმა აიუბ-ხანმა შემდეგი ჩაწერა საპატიო სტუმართა წიგნში: „მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა მენახა ეს საუცხოო გამოფენა“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. „ლემიანის“ სახალხო კომუნის (უპენის მაზრა, სიჩუანის პროვინცია) წევრებს ქიმიური სასუქი შეაქვთ ხურებიციის პლანტაციებში.

ცოდნით და არა შპარგალკით

მოახლოვდა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები. ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი გულმოდგინედ ემზადება გამოცდებისათვის სწავლობს მოსამზადებელ კურსებზე ან მეცადინეობს დამოუკიდებლად, კონსულტაციებს იღებს გამოცდილი პედაგოგებისაგან, კითხულობს წიგნებს. ეჭვი არ არის, ასეთი აბიტურიენტები წარმატებითაც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს და კიდევაც ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში.

მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ყველა მსურველი ასე როდი იქცევა. ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც თავს დიდად არ იტკივებს მეცადინეობით და ეძებს უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ადვილ გზას. ასეთ გზად კი მიჩნეულია შპარგალკა.

და აი, მოახლოვდა თუ არა გამოცდები, დაიწყო ძველი შპარგალკების ჩხრეკა, ღამეების ტეხა მათი ნაირნაირი გრაგნილებისა და კეცილების შესადგენად. ვილაპარაკოთ გულახდილად: ამ დღეებში კაცი ცოტას იპოვნის ისეთ ოჯახს, სადაც არის უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველი, რომ ლაპარაკი არ იყოს შპარგალკაზე. შპარგალკებს ეძებენ არა მარტო აბიტურიენტები, არამედ მათი მშობლები და და-ძმები, მახლობლები და მეგობრები, უმცროსები და უფროსები. რაკი დაიბადა შპარგალკის ასეთი დიდი მოთხოვნილება, გაჩნდნენ მიმწოდებელნიც. ბევრმა საქმოსანმა, როგორც ჩანს, შემოსავლის წყაროდ გაიხადა შპარგალკების ფაბრიკაცია. ყველაზე დიდი რაოდენობით ასეთ შპარგალკებს ქართულ ლიტერატურაში ამზადებენ.

წარსულ წლებში საქმე გვქონდა სამარცხვინო ფაქტებთან. აბიტურიენტთა საგრძნობ ნაწილს რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში თან აღმოაჩნდა დიდძალი შპარგალკა. საგამოცდო კომისიის წევრები ასეთ აბიტურიენტებს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ, უკრძალავდნენ შპარგალკების გამოყენებას და სთხოვდნენ დამოუკიდებლად მუშაობას. მაგრამ ზოგი მათგანი მაინც ახერხებდა საგამოცდო კომისიების მოტყუებას.

ეს მეტად სამწუხარო და არასასიამოვნო გარემოებაა. თვით ტერმინი შპარგალკა მოსწავლეთა ჟარგონის (არგოს) კუთვნილებაა (იგი წარმოდგება პოლონური სიტყვისაგან „შპარგალ“, რაც ნიშნავს ქაღალდის ჩანაწერებიან ნაგლეჯს, რომელსაც მოსწავლეები ჩუმად იყენებენ წერითი თუ ზეპირი გამოცდების დროს). მოსწავლეთა და შემდეგ აბიტურიენტთა შორის წლების განმავლობაში ტრიალებს ნაირნაირ თემებზე შეკოწიწებული შპარგალკები. ისინი, როგორც ირკვევა, იყიდება და ქირავდება ფულზე (გასულ წელს, მაგალითად, ცალკე აბიტურიენტები საგამოცდო კომისიის წევრებს ემუდარებოდნენ: „არ დაგვიხიოთ, შპარგალკები ნაყიდი გვაქვს, კიდევ დაგვჭირდებაო“; „ნუ წაგვართმევთ, ნაქირავები გვაქვს!“), გამოყენებულია სასპეკულაციოდ. შპარგალკებს გასავალი აქვთ არა მარტო ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სხვა საგნებშიც.

შპარგალკების ტალღა შეიჭრა უმაღლეს სასწავლებელშიც. ერთი სიტყვით, შპარგალკომანიამ გადამდები სენის სახე მიიღო. შპარგალკების ძებნაში დახელოვნებული მშობლები საგამოცდო კომისიების წევრებს მკვახედ უსაყვედურებენ: „ჩემს შვილს რატომ წაართვით შპარგალკა?“, „ჩემს შვილს ყველაფერი სწორად ეწერა, პირადად შევამოწმე“. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ეს შპარგალკები ყოველთვის სწორად როდია შედგენილი. ისინი სავსეა ფაქტიური, ენობრივ-სტილისტიკური და პუნქტუაციური შეცდომებით. აბიტურიენტები, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ახერხებენ მათ მთლიანად გამოყენებას და ნაჩქარევად გადაწერაში უხეში შეცდომები მოსდით. აქ შეგვეძლო ამის ასეულობით კურიოზული მაგალითის დასახელება.

ამ სიმახინჯის წინააღმდეგ არ წარმოებს ეფექტური ბრძოლა. საქმე იქამდე მიდის, რომ შპარგალკებს გამოდევნებული აბიტურიენტები კარგავენ დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობის რწმენას. დამახასიათებელია განცხადება ერთი აბიტურიენტისა, რომელსაც 45 საგულდაგულოდ გადაწერილი შპარგალკა ჩამოართვეს: „ვერც ერთის გამოყენება ვერ შევძელი, მაგრამ გული მაინც მაგრად მქონდა, რაღაც იმედი მესახებოდა, ავგაროზივით ვუცქეროდი მათ, გამოცდის წინა ღამით უბეში მელაგა, მეშინოდა, არავინ მომტაცოს-მეთქი“. მეორემ გულწრფელად თქვა: „მარტო მე რას მერჩით, აქ ყველას უბეები გატენილი აქვს შპარგალკებით“...

აბიტურიენტებს თან მოაქვთ 20-30 შპარგალკა, მაგრამ მათი გამოყენება უჭირთ. ამიტომ შედგენილი აქვთ ერთგვარი საძიებლები, რომლებშიც მითითებულია ამა თუ იმ თემის შენახვის ადგილი. ერთ აბიტურიენტ ქალს წელზე ერტყა სპეციალური ქამარი, რომლის ჯიბეებში 20 შპარგალკა ელაგა, უბეში კი საძიებელი ედო. მეორე აბიტურიენტს ჩამოართვეს სპეციალური კონსტრუქციის თუნუქის კალმისტარი, რომელსაც დატანებული ჰქონდა გრძელი ჭრილი. შიგ იდო შპარგალკის გრაგნილი, ოდნავი გადაწევით რომ ცალკე სტრიქონს აჩენდა. ამის „გამოგონებას“ დრო და ენერგია არ უნდოდა?!..

როდესაც ასეთ აბიტურიენტებს საგამოცდო კომისიის წევრები სთხოვდნენ დამოუკიდებლად მუშაობას და უბე-ჯიბეებში ხელების ფათურის უფლებას არ აძლევდნენ, ისინი ცრემლებს აფრქვევდნენ. საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლად ეს აბიტურიენტები უფრო წიგნიერად წერდნენ, ვიდრე შპარგალკის გამოყენებით. დავასახელებთ საგულისხმო შემთხვევას:

გასულ წელს თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტ ქალს ჩამოართვეს შპარგალკა თემაზე „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. ის ჯერ ძალიან შეწუხდა, შემდეგ კვლავ იმავე თემის დაწერის ნებართვა ითხოვა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ აღმოაჩნდა მეორე შპარგალკა იმავე თემაზე. ცრემლმორეულმა აბიტურიენტმა ისევ ითხოვა: „მაპატიეთ, შევცდი, ნება დამრთეთ, თქვენ წინ დავწერო ეგევე თემაო“. დართეს ამის ნებაც, მაგრამ რამდენიმე წუთში მის ხელში მესამე შპარგალკა გაჩნდა იმავე თემაზე. ახლა კი აბიტურიენტი გამოტყდა: „პირველი ორი პირადად ჩემი იყო, ეს მესამე კი ვიღაცას შევებრალე და გადმომაწოდაო“. აბიტურიენტი ბოლოს ცალკე გამოსცადეს ქართულ წერაში და დამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო. გამოდის, შპარგალკა გზა-კვალს უბნევს ახალგაზრდა ადამიანს, აჩვევს ცუღლუტობას, უჩლუნგებს აზროვნების უნარს, აძულებს დამოუკიდებლად მუშაობას, უკარგავს ცოდნის დაუფლების ხალისს.

აბიტურიენტებისათვის ჩამორთმეული შპარგალკების ანალიზი შორს წაგვიყვანდა. მეტი მათგანი უწიგნურად გადმოწერილია სახელმძღვანელოებიდან ან კრიტიკული წერილებიდან და სავსეა უხეში შეცდომებით. აბიტურიენტები კი წიგნებს არ ეკარებიან და ამჯობინებენ მათ გაზეპირებას. განა ასე შეიძლება რაიმე ცოდნის შეძენა ან მისი შემოწმება?

ამ მდგომარეობის შეწყნარება აღარ შეიძლება. შპარგალკებმა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა გადააჩვია დამოუკიდებლად მუშაობას. ამ სენს სასწრაფო მკურნალობა სჭირდება. ერთი და ორი კაცი აქ ვერაფერს გახდება. მის წინააღმდეგ უნდა დაირაზმოს მთელი საზოგადოებრიობა. სკოლამ, კომკავშირის ორგანიზაციამ, პედაგოგებმა, მშობლებმა, განათლების ორგანოებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ შპარგალკომანიას. ჩვენი ახალგაზრდობა თავისუფლად, დამოუკიდებლად, შპარგალკების გამოუყენებლად წიგნიერად უნდა წერდეს და მეტყველებდეს დედა ენაზე.

40 წლის განმავლობაში ჩვენს სკოლაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, შეიქმნა მშვენიერი სახელმძღვანელოები, გამოიზარდა პედაგოგთა საუკეთესო კადრები. პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი სკოლის მუშაობა. მაგრამ ნაკლიც ბევრია. საქმე ის არის, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ნაწილი დაბალწიგნიერია. დაბალწიგნიერება აღმოფხვრილი არ არის სტუდენტთა შორისაც. სამწუხაროდ, უწიგნურად წერს და მეტყველებს უმაღლესი განათლების მქონე არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტიც. აბა, ვისთვის არის საიდუმლო, რომ ჩვენს საწარმო-დაწესებულებებში, სადაც თავმოყრილი არიან სწორედ „დიპლომით აღჭურვილი სპეციალისტები“, საქმის ქაღალდებს ხშირად ისე აფორმებენ, რომ მათი შინაარსის სწორად გაგება მკითხველებს კი არა, ავტორებსაც უჭირთ!..

ზემოთქმულთან დაკავშირებით გვინდა აქ დავაყენოთ ორი, ჩვენი აზრით, მეტად აქტუალური საკითხი:

1. უკვე მოძველდა და საჭიროა გადაისინჯოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები წერითი გამოცდების სისტემა, რაც თვითონ უწყობს ხელს შპარგალკების ასე გავრცელებას. უნდა გამოინახოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდების სხვა, მეთოდურად უფრო გამართლებული ხერხი. თხზულების წერა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელს შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ იმ ფაკულტეტზე, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა მაპროფილებელი საგნებია. ჩვეულებრივ კი წერითი გამოცდები უნდა ჩატარდეს აბიტურიენტთა წიგნიერების შესამოწმებლად (მათ უნდა მოვთხოვოთ წაკითხული ტექსტის ან პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე მხატვრული ნაწარმოების შინაარსის წერილობით გადმოცემა). ძირეულად შესაცვლელია თემათა დასახელების ამჟამად გავრცელებული შტამპი. თემის სათაური ისე უნდა მიეცეს აბიტურიენტს, რომ შემოქმედებითად გაიაზროს იგი და თავი დააღწიოს სტანდარტს, შტამპს, გაცვეთილი სქემების, შპარგალკის არტახებს. საფუძვლიანი შევსება ესაჭიროება ქართული ენისა და ლიტერატურის ამჟამად მოქმედ საგამოცდო პროგრამას. წერითი გამოცდების მეთოდიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სხვა კონკრეტულ საკითხებს უფრო ღრმად მოფიქრება სჭირდება.

2. ჩვენი დედაენის სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების ინტერესები მოითხოვს ქართული ენის პრაქტიკული კურსის სწავლებას რესპუბლიკის ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში. ამის გადაუდებელ საჭიროებას ახლა ყველა კარგად გრძნობს. თავის დროზე ქართული ენის პრაქტიკული კურსი ისწავლებოდა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალურ ფაკულტეტებზეც. საქმე ისე იყო დაყენებული, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის არასპეციალური ფაკულტეტის კურსდამთავრებული სახელმწიფო გამოცდაზე არ დაიშვებოდა, თუ ჩათვლას ვერ მიიღებდა ქართულ წერაში, ამ კარგმა ღონისძიებამ, როგორც ცნობილია, მშვენიერი შედეგებიც მოგვცა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ის სრულიად დაივიწყეს. ახლა სტუდენტობა მეტისმეტად გადატვირთულია მეორეხარისხოვანი საგნებით, მაგრამ მისი წიგნიერების დონის ამაღლებაზე ნაკლებად ზრუნავენ. მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძობენ ქართული ენის პრაქტიკული კურსის კითხვას ზოგიერთ არასპეციალურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის ეს შესანიშნავი გამოცდილება უნდა გავრცელდეს და დაინერგოს ჩვენს სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. ახალგაზრდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების სახელმწიფოებრივი ინტერესები გვიკარნახებენ, რომ რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდეს ქართული ენის მოკლე კურსი. გადაჭრით გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხი სკოლაში.

დარწმუნებული ვართ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი და რესპუბლიკის განათლების სამინისტრო გამოეხმაურებიან ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებულ ამ მწვავე საკითხებს და დადებითად გადაწყვეტენ მათ.

ალ. ღლონტი,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის პროფესორი.

ახალი წიგნები

ი. მელქაძე — [illegible] იმერეთ-სამეგრელოს [illegible] და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. გვერდი 560, ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წ. წ. პროფესორ პ. გუგუშვილის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. გვერდი 620, ფასი 2 მან. 40 კაპ.

გ. თოდუა, ი. ჯავახიშვილი — **საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიისათვის** (მონოგრაფიული ნარკვევი). წიგნის რედაქტორია პროფესორი ი. სარიშვილი. საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა. გვერდი 444, ფასი 1 მან. 30 კაპ.

ვლ. ჩაკვეტაძე — **ქუთაისის ისტორიიდან.** რედაქტორი პროფესორი შ. მესხია, მხატვარი ა. მამრიკაშვილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. გვერდი 350, ფასი 1 მან. 50 კაპ.

ჯ. ბოკაჩიო — **დეკამერონი.** ტომი II. იტალიურიდან თარგმნილი თედო სახოკიას მიერ. რედაქტორი გ. ციცქიშვილი, მხატვარი დ. გაბაშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვერდი 394, ფასი 1 მან. 36 კაპ.

კ. პაუსტოვსკი — **ტარას შევჩენკო.** მოთხრობა. თარგმანი ვალენტინა ძიძიგურისა, რედაქტორი დ. შენგელაია. მხატვარი ი. ჯანაშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გვერდი 104, ფასი 13 კაპ.

გ. ფედოტოვი — **ფეხბურთელის ჩანაწერები.** თარგმნილი უ. ტატიშვილის მიერ. რედაქტორი ზ. ჯაფარიძე. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამოცემა. გვერდი 176, ფასი 30 კაპ.



ლამაზია შავი ზღვისპირეთი, მრავალ დამსვენებელს იზიდავს იგი ზაფხულის ცხელ დღეებში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეცნიერება და ტექნიკა

აპარატი კითხულობს უხილავს

მდიდარ ცდებს ახდენენ სამუზეუმო მხატვრულ ფასეულობათა კონსერვაციისა და რესტავრაციის საკავშირო ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიაში. მეცნიერი იღებს რომელიმე ძველ ფერწერულ ნაწარმოებს. იგი ვარაუდობს, რომ საღებავის ზედა ფენის ქვეშ არსებობს სხვა, უფრო ძველი ნახატი. ამის გამოსარკვევად რესტავრატორს წინათ სჭირდებოდა ხანგრძლივი და რთული მუშაობა, ახლა კი ეს ხდება რამდენიმე წუთში. ამისათვის სურათთან მიაქვთ ინფრაწითელი სხივების გარდამქმნელი ელექტრონ-ოპტიკური აპარატი და მკვლევარი მასში ხედავს ნახატის საღებავების ყოველ ფენას, ყოველ ნიშანს გრუნტზე. ამრიგად, XVI საუკუნის ნახატის ქვეშ აღმოაჩინეს XV საუკუნის ნაწარმოები, ხოლო მის ქვეშ კიდევ უფრო ძველი. ამ აპარატს შეუძლია ფოტოფირზე აღბეჭდოს არა მარტო ის, რაც სჭირდება რესტავრატორებს, არამედ აჩვენებს წაშლილ და გადახაზულ სტრიქონებს ხელნაწერებში, ტექსტებს, რომლებიც ამოუკითხავად და დაკარგულად ითვლებოდა. მისი კონსტრუქცია ეკუთვნით სსრ კავშირის პროკურატურის კრიმინალისტიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებს.

სახლში აღარ ეცხელება

... **მზე** საშინლად აცხუნებს. ჰაერის ტემპერატურა 42 გრადუს სითბოს აღწევს, ოთახში კი გრილა. რა იცავს ოთახს სიცხისაგან? მინა. ჩვეულებრივი ფანჯრის მინა. თუმცა იგი არც ისეთი ჩვეულებრივია, იგი ოდნავ ბუნდოვანია და არ უშვებს ინფრაწითელ სხივებს, სარკესავით არეკლავს მათ. ამავე დროს შუქგამტარიანობით იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივი მინისაგან. ასეთი მინის ტექნოლოგია შეიმუშავა მოსკოვის მინის სახელმწიფო ინსტიტუტმა, ხოლო მისი წარმოების ათვისება მიმდინარეობს აშხაბადის მინის ქარხანაში.

ლიტერატურა და ხელოვნება

ვაჟა-ფშაველა უკრაინაში

ხარკოვი. (საქდესი). ორი კვირის შემდეგ ბევრ ქვეყანაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნავენ გამოჩენილი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს.

მზიური საქართველოს მგოსნის ლექსები და პოემები არაერთხელ გამოუციათ უკრაინაში. მოძმე რესპუბლიკის მკითხველები კარგად იცნობენ პოეტის ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის „ღამე მთაში“, „ჩივილი ხმლისა“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, „არწივი“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც თარგმნილია უკრაინულ ენაზე.

მიმდინარე წელს უკრაინაში გამოუშვეს ქართული პოეზიის ანთოლოგია. მნიშვნელოვანი ადგილი ამ წიგნში დაეთმო ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს.

ბიბლიოთეკებსა და კლუბებში ამ დღეებში იმართება საუბრები ქართველი მწერლის შემოქმედებაზე, ეწყობა იუბილესადმი მიძღვნილი წიგნისა და ილუსტრაციების გამოფენები.

„მზე შინა“

ასე უწოდეს რუსთავში მომუშავე ლიტერატორებმა თავიანთ კრებულს, რომელიც ამ დღეებში გამოსცეს. ეს მეტალურგი პოეტებისა და მწერლების მეორე წიგნია.

კრებულში მოთავსებულია პოეტების ს. ახვლედიანის, რ. დავიდოვის და ო. კვირიკაძის, აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის მუშების ი. შავლოხაშვილის, გ. ჩიხლაძის, პ. ხახაშვილის და სხვების ლექსები.

პროზაული ნაწარმოებებიდან ყურადღებას იპყრობს მეტალურგთა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის მწერალ კ. მუმლაძის მოთხრობა „გიზელა“, რომელიც სამამულო ომის თემას შეეხება. ინტერესით იკითხება და მეტალურგების ცხოვრებას შეეხება დ. კილაძის, ო. ღვამბერიას, რ. მორჩილაძის, გ. ჯახუას და სხვების მოთხრობები და ნარკვევები.

წიგნის რედაქტორია მწერალი კ. მუმლაძე.

შენობები მიწის ქვეშ

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში შეხვდებით სამეურნეო შენობებს, რომლებსაც არა აქვთ ჩვეულებრივი ქანობიანი სახურავი, მათს კიბეებს — კოჭები, ხოლო ქვის საფეხურები აწყვია უბრალოდ მრუდხაზოვან თხელკედლიან აგურის გარსებზე. ამ შენობათა სართულშუა გადახურვებიც თხელკედლიანი გარსებით არის გადაწყვეტილი. ასეთი კონსტრუქციების შენობები, რომლებიც ეკონომიურად უაღრესად ეფექტურია, პროექტდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საპროექტო ინსტიტუტ „საქკვებმრეწვსახპროექტში“.

ინსტიტუტის მუშაკები ამუშავებენ კვების პროდუქტების ყველა ახალი საწარმოს — უმთავრესად მეღვინეობის, უალკოჰოლო სასმელების, ჩაის მრეწველობის, პურის, საკონდიტრო ნაწარმის, მეთამბაქოობის, აგრეთვე რძისა და ხორცის გადამმუშავებელი საწარმოების პროექტებს, რომელთა მიხედვით უკვე აშენდა და შენდება დიდი ლილოს, საგორის, ვარკეთილის, ოკამის, მცხეთის, ალაიანის, ალის და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

მიმდინარე შვიდწლედში მკვეთრად გადიდდება ყურძნის მოსავალი, საგრძნობლად განვითარდება ღვინის მრეწველობა. საფუძველი უნდა ჩაეყაროს ათეულ ათასობით ჰექტარი ვენახის მქონე მეურნეობებს, და ყველა ეს პროექტების სახით აქ ისხამს ხორცს.

— ჩვენ, ამბობს ინსტიტუტის დირექტორი ა. სულაქველიძე, — წინასწარ ვახდენთ ნიადაგის გამოკვლევას, ტოპოგრაფიულ აზომვას, კლიმატური და სხვა პირობების შესწავლას, ამის საფუძველზე ვადგენთ ორგანიზაციულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კულტურების განლაგების, სარწყავი ქსელის, ქარსაცავი ზოლების მოწყობის პირობებს, აგროტექნიკის გამოყენებას, მექანიზაციის დანერგვას, გზების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა და სხვა მონაცემების დამუშავებას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ამა თუ იმ საწარმოს პროექტის შედგენა.

ინსტიტუტის კოლექტივი იღვწის იმისათვის, რომ შეიქმნას იმდენი ღვინის ქარხნები და მარნები, რომ რესპუბლიკაში აღმოიფხვრას ღვინის ჭურჭლის ნაკლებობა. საშენ მასალად კი ფართოდ იყენებენ აგურისა და რკინაბეტონის თხელკედლიან ფილებს. პირველ სურათზე ნაჩვენებია ახალი ტიპის სამარკო და ორდინარული ღვინოების ქარხნის პროექტი. იგი აგურის თხელკედლიანი ასაწყობი ფილებით არის გადახურული. ასეთი გადახურვით ორჯერ ნაკლები რკინა იხარჯება. როგორც სურათზე ჩანს, ამ შენობას არა აქვს ჩვეულებრივი კედლები, მის ფუნქციებს აქ ღვინის ჭურჭელი — რკინაბეტონის ცილინდრული რეზერვუარები ასრულებენ. ამიტომ იგი დიდ ეკონომიას იძლევა. ამ პროექტით დიდი წარმადობის ღვინის ქარხანა უკვე აიგო ნაფარეულში, ასეთივე ქარხანა აიგება ახმეტაში, მუკუზანში...

მეორე სურათზე მოცემულია ახალი ტიპის მიწისქვეშა მარანი სათავსების ბუნებრივი გაცივებით. გადახურვისათვის გამოყენებულია ფილები, ხოლო ზედაპირზე დგას წყალი. მის გარშემო განლაგებულია მწვანე ნარგავები, რათა მზის უშუალო სხივებმა ვერ მოახდინოს გავლენა სარდაფის ტემპერატურაზე და იქ მოთავსებული ღვინოები არ დააზიანოს.

საპროექტო ინსტიტუტი ტაჯიკეთისათვის ამუშავებს ღვინის ორი დიდი ქარხნის პროექტს. ამ პროექტებში გამოყენებულია პრინციპი, როცა ერთ შენობაში თავმოყრილია ყველა საწარმო და დამხმარე პროცესი. ტაჯიკები პროექტებს მიმდინარე წლის ნოემბრისათვის მიიღებენ.

ე. მამალაძე.

2



1

ფოლკლორული ექსპედიციები

კახეთში მუშაობას განაგრძობს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორული ექსპედიცია პროფესორ მიხ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით.

პირველი ივლისიდან ინსტიტუტმა ორი ახალი ექსპედიცია გაგზავნა ქართლისა და იმერეთის რაიონებში.

ექსპედიციების მიზანია მდიდარი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება.

ქართლის ექსპედიციას ხელმძღვანელობს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ცანავა, იმერეთისას — მეცნიერი მუშაკი ჯ. ბარდაველიძე.

კომუნისტი სპორტი

„ვინერ ნეიშტადტი“ — „დინამო“

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ავსტრიის „ვინერ ნეიშტადტის“ ფეხბურთელებმა გამართეს თავიანთ ტურნეს მესამე საერთაშორისო მატჩი თბილისის „დინამოსთან“.

აქ ჩამოსვლამდე სტუმრებმა ბაქოს „ნეფტიანიკთან“ და ერევნის „სპარტაკთან“ შეხვედრებში დამარცხება განიცადეს 3:7, 1:5. ამიტომ როგორც სჩანს დინამოელები იოლ გამარჯვებას მოელოდნენ.

მოლოდინი არ გამართლდა. თამაშის დაწყებიდან 3 წუთი არც კი იყო გასული, რომ მარჯვენა შუამარბმა პუშნიკმა შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

დინამოელთა კონტრთამაშს შედეგი არ მოჰყოლია. ამ ანგარიშით ფეხბურთელები დასასვენებლად წავიდნენ.

მეორე ტაიმის მე-14 წუთზე ანგარიში გახდა 2:0. გოლის ავტორი იყო გუნდის კაპიტანი პიხლერი. მხოლოდ ბოლო წუთებში შეძლეს დინამოელებმა დამარცხებისაგან თავის დაღწევა. კალოევმა და დათუნაშვილმა თითო ბურთი გაიტანეს ავსტრიელთა კარში და გაათანაბრეს ანგარიში.

მატჩის საბოლოო შედეგია ფრე—2:2.

საერთაშორისო შეხვედრები ოდესასა და დონის როსტოვში

გუშინ დონის როსტოვში ბრაზილიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდმა „მადურეირამ“ გამართა მორიგი საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივი სკა-ს წინააღმდეგ. საინტერესო მატჩი დამთავრდა დონის როსტოვის ფეხბურთელთა გამარჯვებით 2:1.

10 ივლისს ოდესაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირში პირველად მყოფ კვიპროსის „ომინიას“ ფეხბურთელთა და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდს შორის. „ჩერნომორეცის“ კაპიტნის კოლდაკოვის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა.

სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ ტაშკენტში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 1:0.

კრამერის „ცირკის“ პირველი სპექტაკლი

როგორც ვიუწყებოდით მოსკოვს ეწვია პროფესიონალ ჩოგბურთელთა დასი ცნობილი ჩოგბურთელის, პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტის კრამერის მეთაურობით.

ეს არის მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ჯგუფი, რომელთა გამოსვლა, ოსტატობა, მაღალი ტექნიკა ხიბლავს მაყურებლებს. და აი გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სპორტულ არენაზე მრავალი მაყურებლის დასწრებით პირველად გამოვიდნენ კრამერის „ცირკის“ წარმომადგენლები.

მაღალი ოსტატობით იბრძოდნენ ავსტრალიელი ჰოადი და ამერიკელი მაკ-კეი. ამერიკელი ჩოგბურთელი უფრო სწრაფი და მოქნილი აღმოჩნდა, მან გაიმარჯვა 6:1, 3:6 და 6:2. ეკვადორელი სეგურასა და ამერიკელი ტრაბერტის ბრძოლაში გაიმარჯვა მეორემ 6:2, 6:2.

წარმატებით ჩატარდა აგრეთვე წყვილთა შეხვედრები.

საბჭოთა ჩოგბურთის სპეციალისტების აზრით პროფესიონალ ჩოგბურთელთა გამოსვლას უფრო სანახაობითი ხასიათი აქვს. მართალია აქ ჩანს მაღალი ტექნიკა, მაგრამ არ იგრძნობა სპორტული ბრძოლა.

კალათბურთელთა ჩემპიონატი

გუშინ რიგაში დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ერთ-ერთმა ცენტრალურმა მატჩმა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და რიგის სკა-ს გუნდები. გაიმარჯვა ცსკა-მ ანგარიშით 68:49.

ამერიკელი ძალოსნები ლენინგრადში

გუშინ ლენინგრადში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მეორე საერთაშორისო შეჯიბრება ძალოსნობაში.

მჩატე წონაში ცნობილ ამერიკელ შტანგისტს — ვინჩს სძლია მარზაგულოვმა და სამჭიდში შეგროვილი 335 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა.

ქვემსუბუქ წონაში გაიმარჯვა ამერიკელმა ბერგერმა (360 კილოგრამი). მომდევნო ორ წონაში სტუმრებს შტანგისტი არ გამოუყვანიათ, ხოლო საშუალო წონაში ბოგდანმა ტრავმა მიიღო და გამარჯვება ამერიკელებს ჩაეთვალა.

ქვემძიმე და მძიმე წონაში გაიმარჯვეს სტეპანოვმა და პოლიაკოვმა (სსრ კავშირი).

ამრიგად, მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის გამარჯვებით 5:2.

სპეკულანტები მახეში...

იოლი შემოსავლის წყაროს დაეწაფა უქნარა ა. აგაევი. ყოველდღე საკოლმეურნეო ბაზრებში ატარებდა, ყიდულობდა და მამასისხლად ჰყიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. ამას წინათ ა. აგაევმა საკოლმეურნეო ბაზარში 120 კილოგრამი პამიდორი შეიძინა კილოგრამი 35 კაპიკად, ხოლო ჰყიდდა 70 კაპიკად.

მუქთახორობას მიჰყო ხელი თბილისელმა ა. ხუგაშვილმაც. მან საკოლმეურნეო ბაზარში დილით ადრე 60 კილოგრამი პამიდორი იყიდა, რასაც შემდეგ ორმაგ ფასებში ჰყიდდა.

— ხიზილალა, ხიზილალა! — გაჰყვიროდა საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელთან ვ. მარგიევი.

— რა ღირს კილოგრამი? — ჰკითხა დიასახლისმა.

— თუ ძალიან გსურს, ათ მანეთად დაგითმობ! — იყო პასუხი და ჭუჭყიან ქაღალდებში შეხვეული ხიზილალა აჩვენა. დიასახლისს გული აურია უსუფთაოდ შენახული პროდუქტის დანახვამ. შემოწმებისას ვ. მარგიევს თხუთმეტი კილოგრამი ხიზილალა აღმოაჩნდა.

ვისაც კი თბილისის სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში შეუვლია, აუცილებლად შეამჩნევდა დახლთან მდგომ ბ. ჯაფაროვს, რომელიც ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიძახდა:

— აბა, საცივის ნიგოზი!.

— რა ღირს კილოგრამი? — ვკითხეთ.

— ხუთი მანეთი!

როგორც შემოწმებით დადგინდა, მუქთახორა ბ. ჯაფაროვი კახეთისა და ზაქათალის ხშირი სტუმარი იყო, კილოგრამ ნიგოზს 2 მანეთად და 50 კაპიკად იძენდა, აქ კი მომხმარებლებს კილოგრამში ხუთ-ექვს მანეთს ახდევინებდა. შემოწმებისას ბ. ჯაფაროვს 65 კილოგრამი ნიგოზი უნახეს.

— დედას გეფიცებით, ამ ლიმონს რომ ხედავთ, ჩვენს ბაღშია მოწეული! — გვითხრა ეთერ ჯობაძემ, რომელსაც დახლზე 120 ცალი ლიმონი განელაგებინა.

— საიდან ბრძანდებით? — შევეკითხა თმაშევერცხლილი ქალი.

— სურამიდან!

— განა იქ ასე უხვად მოდის ლიმონი? — გაოცდა მომხმარებელი.

მუქთახორები, სპეკულანტები მახეში გაებნენ. ისინი პასუხისგებაში მისცა თბილისის სტალინის რაიონის მილიციის განყოფილებამ.

ეს სპეკულანტები ერთეულები როდი არიან. ამ მუქთახორებს კარგად იცნობენ თვით ბაზრის ხელმძღვანელები. მაგრამ ისინი მათ მხილებას რატომღაც გაურბიან. რატომ ხდება ეს?!..

კ. კვარაციხელი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

12 ივლისი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-14 აბონემენტის მე-10 წარმოდგენა), უკრაინის ტ. შევჩენკოს სახელობის დრამატული თეატრი — ცისფერ დუნაიზე, ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ლატერნა მაგიკა.

ტელევიზია 18.00 — გადაცემა „ქართველი სტუდენტები კვიპროსზე“, 18.20 — კინონარკვევი, 18.50 — საბალეტო მუსიკის კონცერტი, 19.30 — კინოჟურნალი, 19.50 —ახალი ამბები, 20.05 — მხატვრული ფილმი „ადამიანი არსაიდან“.

უე 01067 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.